


ალბერ კამიუ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირველი ადამიანი



ალბერ კამიუ  
პირველი ადამიანი

*ადაპტირებული ჟან-პოლ შენტუს მიერ  
ფრანგულიდან თარგმნა გიორგი კვიციანი*

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა  
საიტმა: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

## გრილი მხურვალე ცეცხლი

ქვა-ღორღიან გზაზე მოგრიხინე ჩარდახიანი ორთვალას ზემოთ, დიდი, სქელი ღრუბლები საღამოს ბინდ-ბუნდში აღმოსავლეთისაკენ მიიზღაზნებოდნენ. სამი დღით ადრე, ატლანტიკის ოკეანის ოხშივართ გაბერილნი, დასავლეთის ქარს დაელოდნენ, ზანტად შეირხნენ, ფოსფორისებრ მოელვარე შემოდგომის წყლებს გადაუარეს, პირდაპირ კონტინენტისკენ, მაროკოს მთების წვეტიან მწვერვალებს წამოეგენ, დანაწევრდნენ, მერე კი ალჟირის მაღალ ზეგანზე ისევ შექუჩდნენ, ტუნისის საზღვრებს გადაუარეს და ახლა ცდილობდნენ ტირენის ზღვამდე მიეღწიათ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაუჩინარებულიყვნენ. ამ უზარმაზარი კუნძულის ზემოთ, რომელსაც ჩრდილოეთით მღელვარე ზღვა, სამხრეთით კი უდაბნოს გაქვავებული ტალღები შემოჯაროდა, ათობით კილომეტრი გადალახეს. მას შემდეგ, რაც ამ უსახელო მხარეს იმავე სისწრაფით გადაუარეს როგორც საუკუნის მანძილზე იმპერიებმა და ხალხებმა, ძალაგაცლილმა ღრუბლებმა სვლა შეანელეს, ზოგიერთი წვიმის იშვიათ, მსხვილ წვეთებად იქცა, ახლა მგზავრების თავზემთ, ჩარდახს რაკარუკით ეცემოდა.

ორთვალა კარგად გაკვალულ, მაგრამ მოუვლელ, ოღრო-ჩოღრო გზაზე მირიხინებდა. დრო და დრო ნალებიდან გამოტყორცნილი ნაპერწკალი ან გზიდან ავარდნილი ტალახის გუნდა ხის ბორბლებს გამეტებით ეხეთქებოდა. ორი ტანდაბალი ცხენი, შეწყობილი ნაბიჯით მიუყვებოდა გზას. ავეჯით დატვირთული ორთვალას სიმძიმე ცხენებს წინ გაშვერილი მკერდის კუნთებს უბერავდა. ზოგჯერ რომელიმე ხმაურით დაიფრუტუნებდა და წაიბორძიკებდა. კოფოზე მჯდარი არაბი ცხენს ბეჭებზე მათრახს გადაუჭერდა და მოყოჩაღებული პირუტყვი ჩვეულ ნაბიჯს უბრუნდებოდა.

მედროგეს გვერდით მჯდარი კაცი, ოცდაათიოდე წლის ფრანგი, პირქუშად დასცქეროდა ცხვირწინ მოქანავე ორ გავას. კაცი აღნაგი და ღონიერი ჩანდა. გრძელი სახე, ფართე, ოთხკუთხა შუბლი, გამოკვეთილი ყვრიმალეები და ღია ფერის თვალები ჰქონდა. ცივი ამინდის მიუხედავად, ხამი ტილოს სამლილიანი, იმ დროის მოდის მიხედვით, საყელოშეკრული პიჯაკი ეცვა, მოკლედ შეჭრილ თმებზე კი თხელი ქსოვილის ქუდი ეხურა.

წვიმამ რომ მოუხშირა, კაცი ორთვალას ძარისკენ მიბრუნდა :

« აბა, როგორ ხარ ? »

უკანა საჯდომზე, ძველი სკივრების გროვაში ჩაჭედილმა ქალმა, რომელსაც ღარიბულ ტანსაცმელზე, სქელი, მატყლით ნაქსოვი მოსასხამი ეცვა, თითქოს რაღაცისთვის ბოდის იხდისო, სუსტად გაიღიმა და გაეპასუხა :

« არა მიშავს ».

ქალს სათნო, სწორ ნაკვეთიანი სახე, ესპანელებისთვის დამახასიათებელი, ოდნავ ტალღოვანი შავი თმები, სწორი, ლამაზად ჩამოქნილი ცხვირი და სითბოჩამდგარი, ელვარე თვალები ჰქონდა.

მაგრამ იყო რაღაც, რაც პირველი ნახვისთანავე თვალში მოგხვდებოდა. არა, იმ ნიღაბს სულ არ ჰგავდა, რომელსაც დაღლილობა ან რაიმე ამის მსგავსი, დროებით სახეს ააფარებს... არა, გაუცხოებული, თითქოს ამ წუთს აქ მყოფი უბიწო ადამიანის გამომეტყველებას უფრო ჰგავდა, რომელიც ქალის ლამაზ ნაკვეთებს მალულად შემოპარვოდა. საოცრად კეთილ გამოხედვაში გაუცხოებულ იერებელი შიში იფეთქებდა და წამსვე ქრებოდა.

ქალმა შრომით დაღლილი, ოდნავ დამარღვული ხელი ქმარს ზურგზე მოუთათუნა :

« კარგად ვარ. »

მერე ღიმილი ჩამოიცილა და გზაზე აქა-იქ მოელვარე წვიმის გუბებს დააცქერდა.

კაცი მშვიდად მჯდარ არაბს მიუბრუნდა :

« ბევრი დაგვრჩა ? »

არაბმა თეთრ, სქელ ულვაშებში ჩაიციხა :

« რვა კილომეტრიც და ადგილზე ვიქნებით. »

« სადავეები მომეცი » - უთხრა კაცმა.

« ცხენების რამე გაგეგება ? » - ჰკითხა არაბმა.

« რა თქმა უნდა » - გაიღიმა კაცმა.

დღის სინათლემ იკლო და ერთბაშად სიბნელემ დაისადგურა.

1913 წლის შემოდგომის ღამე იდგა.

ალჟირიდან ბონში ჩასული მგზავრები სადგურიდან ორი საათის წინ გამოვიდნენ.

სადგურზე არაბის ორთვალა მოძებნეს, რომელსაც მგზავრები პატარა სოფლის ახლოს, ფერმაში უნდა მიეყვანა, სადაც კაცს მოურავად უნდა დაეწყო მუშაობა.

ჯერ იყო სკივრების და ფუთების დალაგებას ძლივს აუვიდნენ, მერე დანგრეულმა გზამაც თავისი გაიტანა, - მგზავრებს კარგა გვარიანად შეაგვიანდათ.

არაბი, თითქოს მგზავრის წუხილი იგრძნო, კაცს მიუბრუნდა :

« ნუ გეშინია. ამ გზაზე ყაჩაღებს არაფერი ესაქმებათ. »

« ყაჩაღებს რა დააკეცებს ? რამე იყოს, თავის დაცვას შევძლებ. »

კაცმა ვიწრო პიჯაკის ჯიბეზე დაირტყა ხელი.

« მართალი ხარ, -თქვა არაბმა, - ამ ქვეყნად გიჟებს რა გამოლევს ? »

ძარიდან ქალის ხმა მოისმა :

« ლუსიენ, ამტკივდა. »

« სადაცაა მივალთ, ცოტაც მოითმინე. »

კაცმა ძარაში შეყო თავი :

« კიდევ გტკივა ? »

ქალმა ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა. გარეგნულად ტკივილის არაფერი ემჩნეოდა.

« ჰო, ძალიან. »

« ერთი კილომეტრიც და...»

ორად მოკეცილ ქალს თავი მკლავებში ჰქონდა ჩარგული.

« კატრინ ! კატრინ ! »

უძრავად მყოფი ქალი უხმოდ ტიროდა. კაცი ხელით შეეხო.

« რომ მივალთ, დაწევი. მე კი ექიმს მოვიყვან. » - შეუძახა ცოლს. სიტყვებს მარცვლავდა და თან ხელის მოძრაობას აყოლებდა.

« კარგს იზამ. მგონი დამეწყო. »

არაბს გაოცებული მზერა ერთიდან მეორეზე გადაჰქონდა.

« ბავშვი უნდა ეყოლოს. სოფელში ექიმი გყავთ ? »

« გვყავს... თუ გინდა, მე მოვიყვან. »

« არა, აჯობებს სახლში დარჩე. ყურადღებით იყავი. მე უფრო სწრაფად მოვრჩები. ექიმს ცხენები და ეტლი თუ ჰყავს ? »

« ეტლი ჰყავს. »

არაბი ქალს მიუბრუნდა :

« ბიჭი იქნება. ღმერთმა ლამაზი გაგიჩინოს. »

ქალმა გაუღიმა, თუმცა ვერაფერი გაიგონა.

« არ ესმის, - უთხრა კაცმა, -სახლში რომ იქნებით, იყვირე და სიტყვებს ხელებიც წააშველე. »

ორთვალა აღარ რიხინებდა, თითქმის უხმაუროდ მიგორავდა. კაცი მიწაზე ჩახტა. ქალი ხმას არ იღებდა.

კაცმა ხელში აიყვანა, წუთით მკერდზე მიიხუტა და თავი გადაუწია.

« სიარულს შეძლებ ? »

« შევძლებ. »

კაცი მკლავზე მიეაღერსა და სახლისაკენ გაუძღვა.

არაბს ცეცხლის დანთება მოესწრო და ახლა გამოზომილი, ზუსტი მოძრაობებით კოცონს ვაზის ლერწებს უმატებდა.

ქალი მაგიდასთან იდგა, ხელები მუცელზე ეწყო. ლამფის შუქით განათებულ ლამაზ სახეს დრო და დრო ტკივილის ტალღა გადაურბენდა, ვერც სინესტეს გრძნობდა და ვერც დიდი ხნის წინ მიტოვებული ოთახის სილატაკეს ამჩნევდა.

კაცი ზედა სართულზე საქმიანობდა.

არაბი მაღლა ავიდა. კაცებმა ლეიბი ჩამოიტანეს და ბუხრის წინ დააგეს..

« დაწექი » - თქვა კაცმა და ქალი ლეიბთან მიიყვანა. ლეიბს სველი ძუის სუნი ასდიოდა.

« ვერ გავიხდი » - თქვა ქალმა და ირგვლივ გაკვირვებით მიმოიხედა, თითქოს ეს-ეს არის იაზრა, სად იყო...

« საცვალი მაინც გაიხადე »

ქალმა ქმარს ზურგი შეაქცია და გახდა დაიწყო. კაციც მიტრიალდა.

ქალი ლეიბზე წამოწვა, საბანი გადაიფარა და გაბმით წამოიყვირა, თითქოს ტკივილით გამოწვეული, აქამდე შეკავებული ყველა ყვირილისგან ერთბაშად დაიცალა.

ქმარმა აცალა, მერე, როდესაც ქალი ჩაჩუმდა, ქუდი მოიხადა, დახუჭული თვალების ზემოთ, შუბლზე აკოცა, ქუდი დაიხურა და წვიმაში გავიდა.

« ცხენს უნაგირს დავადგამ » - თქვა არაბმა.

« არა, ისედაც იოლად გავალ. შენ კი სკივრები სამზარეულოში შეიტანე... ცოლი გყავს ? »

« მომიკვდა... დაბერდა. »

« ქალიშვილი ? »

« ღმერთის წყალობით, არა. სამაგიეროდ, რძალი მყავს. »

« უთხარი ხელი შეგვაშველოს. »

« ვეტყვი. აბა, გზა მშვიდობისა. »

კაცმა არაბს შეხედა, რომელიც უძრავად იდგა წვიმის ქვეშ და სველი უღვაშების ქვემოდან უღიმოდა. კაცმა ხელი გაუწოდა. მოხუცი ხელს თითებით შეეხო, მერე თითები ტუჩებთან მიიტანა. კაცი შებრუნდა, ცხენთან მივიდა, შიშველ ზურგზე მოახტა და ჩორთით ადგილიდან დაძრა.

« რომელი ხარ ? »

« სენ-პოლის მამულის მოურავი გახლავართ. ჩემი ცოლი სადაცაა იმშობიარებს. უნდა დამეხმაროთ. ლუსიენ კამიუ მქვია. »

კარებში კაცი გამოჩნდა, თოჯინასავით ტკიცინა, ახალგაზრდული სახე ჰქონდა, თუმცა თმები სულ გათეთრებოდა, მაღალი იყო და სანადირო ქურთუკი ეცვა.

« აქ საიდან გაჩნდით ? პირველად გხედავთ. სამშობიაროდ ამ გადაკარგულ დაბაში რამ ჩამოგიყვანათ ? »

კაცმა აუხსნა, რომ შვილის დაბადებას მოგვიანებით ელოდებოდა და იქნებ, ახლა ცდებოდა კიდევ.

« ჩვეულებრივი ამბავია. აი, ნახავთ, ამ მხარეს თავისი ხიბლი აქვს, კოლოებსა და შარაგზის ყაჩაღებს თუ არ ჩავთვლით. ერთსაც გეტყვით, კოლოებს გაზაფხულზე უნდა უფრთხილდეთ. აი ყაჩაღების კი, რა მოგახსენოთ... »

« არ მეშინია. დავიდარაბას შეჩვეული ვარ. »

« პირმშოა ? »

« არა, ოთხი წლის ბიჭი ალჟირში სიდედრთან დავტოვე. »

ცხენები შეაჩერეს თუ არა, სახლიდან ყვირილი მოისმა :

« კადურს გაუმარჯოს. აბა, რა ხდება ? »

« რა გითხრა, ქალების ოთახში არასოდეს შევდივარ. »

« კარგი წესი გქონია. მით უმეტეს, როცა ქალები ასე გამეტებით ყვირიან. »

ექიმმა კარი შეაღო და ოთახში შეაბიჯა.

ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი ოთახს ანათებდა.

ქალი ლეიბზე იწვა, თავი შიშველ ბალიშზე ედო, თმები გაშლოდა.

ლეიბის მარცხნივ, მუხლებზე დაჩოქილი ფუნდუკის მეპატრონე ქალი ტაშტის ზემოთ სველ ტილოს წურავდა. შეწითლებილი წყალი ტაშტში იღვრებოდა.

მარჯვნივ ფეხმორთხმულ არაბ ქალს ჩადრი ჩამოეხსნა, წინ გამვერილ ხელებში, თითქოს ძვირფასი ძღვენიყო, ოხშივარადენილი ტაშტი ეკავა.

ქალები მელოგინეს ქვეშ ამოდებული, ორად გაკეცილი ზეწრის თავსა და ბოლოში ისხდნენ.

როდესაც კაცები მოახლოვდნენ, მეფუნდუკემ მხიარულად წამოიძახა :

« ამოდ გაისარჯეთ ექიმო. ყველაფერი თავისთავად მოგვარდა ! »

...კაცებმა ლეიბზე რაღაც უფორმო და გასისხლიანებული დაინახეს. ეს რაღაც თითქმის შეუმჩნევლად მოძრაობდა და ყურისთვის ძნელად გასარჩევ ბგერებს გამოსცემდა.

« იმედია, ჭიპლარი არ გადაგიჭრიათ ? »

« არა, - გაიცინა მეფუნდუკემ – ეს საქმე თქვენ შემოგინახეთ. »

ექიმმა აბგა გახსნა, არაბ ქალს ტაშტი ჩამოართვა, ხელები გადაიბანა და ზემოდან არაყი დაისხა. არყის სურნელი წამსვე ოთახს მოედო.

მწოლიარემ თავი ასწია და ქმრის დანახვაზე ლამაზ, დაღლილ სახეზე, სათნო ღიმილი გადაეფინა.

« მოვიდა » - ერთი ამოსუნთქვით უჩურჩულა ქმარს და ხელი ბავშვისკენ გაიწვდინა.

« დიახ, მაგრამ თქვენ ეხლა მშვიდად ყოფნა გმართებთ. » - თქვა ექიმმა.

ქალმა კითხვაჩამდგარი მზერით ამოხედა. საწოლის ფერხთით მდგარმა ქმარმა ხელით ანიშნა, ექიმს დაუჯერეო.

« დაწეი. »

ქალი ბალიშზე გადაწვა.

ექიმი ზეწრის ქვეშ ჩირთიფირთობდა, მერე წელში გაიმართა და ხელებში რაღაც შეათამაშა. ოთახში სუსტი ყვირილი გაისმა.

« ბიჭია. კარგი ვინმეა ! »

არაბმა ქალმა გაიცინა და ტაში შემოკრა.

წვიმამ მოუხშირა და სველი კრამიტი აარახუნა.

კამიუმ ცოლს შეხედა. ქალს თავი უკან ჰქონდა გადაგდებული. ხელები საბნის ქვეშ უხემ ქსოვილზე ედო. კაცმა ქუდი დაიხურა და ოთახიდან გავიდა.

გარეთ, ვაზის ძირში, თავზე ტომარაგადაფარებული არაბი ელოდებოდა. არაბმა კაცს შეხედა. კაცს არაფერი უთქვამს.

« შემოეფარე. » თქვა არაბმა და კამიუს ტომრის კიდე გაუწოდა.

კამიუ ტომრის ქვეშ შეძვრა. არაბის მხარს გრძნობდა და სველი ტანსაცმლიდან ადენილ ოხშივარს ისუნთქავდა. წვიმის წვეთები გამუდმებით ეხლებოდა ტომარას.

« ბიჭია. »

« მადლობა ღმერთს ! მაგარი ყოფილხარ ! »

ათასობით კილომეტრგამოვლილი წყალი მათ წინ ჩანჩქერად იღვრებოდა. მალე მთელ ამ მხარეს დაფარავდა, მდინარის ჭაობიან ნაპირებს და შემოჯარულ მთებსაც იმწვდებოდა. ტომარას შეფარებული კაცები უდაბური მიწის სურნელს ისუნთქავდნენ. მათ უკან კი, სახლში ისევ ისმოდა ის სუსტი წამოკვივლება.

მოგვიანებით, ღამით, გრძელ საცვალსა და მისურის ამარა საწოლზე გართხმილი კამიუ, ჭერზე ბუხრის ცეცხლის ათინათების ფერხულს აკვირდებოდა. ცოლს ეძინა, სახე მისკენ მოექცია, პირი ღია დარჩენოდა.

ოთახი ვაი-ვაგლახად დაელაგებინათ.

კუთხეში, თეთრეულის კალათაში პატარას მშვიდად ეძინა ; ხანდახან თუ ამოასლოკინებდა.

წვიმა შეწყდა.

ხვალიდან მუშაობას უნდა შეუდგეს.

გვერდით ცოლის უღონოდ მისვენებული, შრომით დაქანცული ხელებიც ხვალინდელ საქმეს ახსენებდა. კაცმა ხელი გასწია, ქალის მკლავს დაადო, თავქვეშ ბალიში მოირგო და თვალები დახუჭა.

## სენ ბრიეკის სასაფლაო

### ცივი ცეცხლი

სასაფლაოს გრძელი, ულაზათო ღობე ერტყა. იქვე ჭიმკართან თაიგულების დახლები და ქვის მთლელების სახელოსნოები ერთ რიგად ჩამწკრივებულიყო... მგზავრი სახელოსნოს წინ შეჩერდა. ოთახის ერთ კუთხეში მეტის-მეტი მონდომებისგან



დაძაბული, კოპებშეკრული პატარა ბიჭი სკოლის დავალებებს წერდა. ბიჭი ჯერ კიდევ დაუმუშავებელ საფლავის ქვაზე იჯდა.

კაცი სასაფლაოს შესასვლელს გასცდა და დარაჯის ჯიხურისკენ გაემართა. ჯიხური ცარიელი დახვდა. ღარიბულად გაწყობილ სამუშაო ოთახში მგზავრმა სასაფლაოს გეგმას ჰკიდა თვალი. მიუახლოვდა და ის იყო ყურადღებით დააკვირდა, რომ დარაჯიც თავს წამოადგა. მაღალი კაცი იყო, გრძელი, ხორციანი, დამარღვული ცხვირი ჰქონდა და ოფლის სუნი უდიოდა. სტუმარმა 1914 წლის ომში დაღუპულთა საფლავები მოიკითხა.

« ახლავე – თქვა დარაჯმა. ამ რიგს, ფრანგების ხსოვნა ჰქვია. თქვენ ვის ეძებთ ? »

« კამიუ, ლუსიენ კამიუ. »

დარაჯმა სქელი დავთარი გადაშალა, ჭუჭყიანი თითით სიას ჩამოუყვავა და ერთ ადგილზე გააშეშა.

« კამიუ, ლუსიენი ; სასიკვდილოდ დაიჭრა მარნის ბრძოლაში, გარდაიცვალა სენ ბრიევში, 1914 წლის 11 ოქტომბერს.»

დარაჯმა წიგნი დახურა.

« გამომყევით »

კაცი საფლავების პირველი რიგის წინ ჩაატარა. მოკრძალებულ საფლავებს, მდიდრული, მაგრამ უგემოვნო საფლავები ენაცვლებოდა.

« ნათესავია ? » - სასხვათაშორისოდ იკითხა დარაჯმა.

« მამაჩემია. »

« სამწუხაროა » - თქვა დარაჯმა.

« არც ისე. მამა რომ დაიღუპა, ერთი წლის ვიყავი. ხომ გესმით.. «

« რა თქმა უნდა... და მაინც... ბევრი დაიღუპა. »

ასეცაა, ომმა ბევრი შეიწირა. მამამის რაც შეეხება, მცდელობის მიუხედავად, სინანულის ნატამალსაც ვერ გრძნობდა.

ამდენი წლის განმავლობაში, რაც საფრანგეთში ცხოვრობს, რამდენჯერმე დააპირა ალჟირში დარჩენილი დედისთვის მიცემული პირობა შეესრულებინა და მამის საფლავი მოეძებნა, რომლის ნახვას ქალი ვერა და ვერ ეღიბა.

ფიქრობდა, რომ ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა : ჯერ ერთი, მამა არასოდეს უნახავს, მისი არაფერი იცოდა, ხოლო ყოველგვარი პირობითობა და პირმოთნეობა მთელი არსებით სმაგდა.

მერე კიდევ, ეს მცდელობა დედასაც არაფრად წაადგებოდა. ქალი გარდაცვლილზე არასოდეს ლაპარაკობდა და ვერც წარმოედგინა, რა დახვდებოდა ვაჟს სასაფლაოზე.

« მოვედით » - თქვა დარაჯმა.

საფლავების ოთხკუთხედს ნაცრისფერი ქვების დაბალი ღობე იცავდა. ერთნაირი მანძილით დაშორებული, ერთნაირი სიდიდის ქვები მწყობრად ჩამწკრივებულიყვნენ. ქვებზე ქორფა თაიგულების პატარა თაიგული იდო.

« ორმოცი წელია « ფრანგების ხსოვნას » უვლის. შეხედე, აი, აქ არის. »

დარაჯმა პირველი რიგის ქვისკენ გაიშვირა ხელი.

« ახლა კი დაგტოვებთ. »

ალბერი ქვის შორიახლოს შეჩერდა და არაფრისმთქმელი მზერა შეავლო საფლავს. ქვაზე მისი გვარი იყო ამოტვიფრული. ალბერმა თვალები ასწია.

ზეციდან მსუბუქი, გამჭვირვალე ნათელი იღვრებოდა. ღრუბლის პატარა მონაცრისფრო-მოთეთრო ქულები სადღაც შორს მისრიალებდნენ. გარშემო სიჩუმე სუფევდა.

ალბერი ღრუბლებს თვალს ვერ აშორებდა და ცდილობდა სველი ყვავილების სურნელის მიღმა შორეული, უძრავი ზღვის მარილიანი სუნი ამოეცნო. უცებ მის სმენას ახლო საფლავის ქვაზე დაუდევრად მიგდებული სათლის რახუნი მისწვდა და ალბერი ფიქრებიდან გამოერკვა.

ჰოდა, სწორედ მაშინ ამოიკითხა ქვაზე მამის დაბადების წელი და მიხვდა, რომ ზუსტი თარიღი აქამდე არც არასოდეს სცოდნია. მერე, ორთავე რიცხვი კიდევ ერთხელ წაიკითხა : « 1875-1914 » და მისდაუნებურად გამოიანგარიშა : « ოცდაცხრა წელი. »

უცაბედმა აზრმა სულით ხორცამდე შეძრა : თვითონ ორმოცი წლისაა, ამ ქვის ქვეშ დამარხული კაცი კი, მამამისი, მასზე ახალგაზრდაა.

სიბრალულის და სინანულის სათუთი ტალღა, რომელმაც მთელი მისი არსება აავსო, არ იყო სულის მოძრაობა, რომელიც შვილს გარდაცვლილ მამას გაახსენებს, არამედ გულისშემძვრელი თანაგრძნობა, თანადგომა, რომელსაც ცხოვრებაგამოვლილი კაცი უსამართლოდ მოკლული ბავშვის წინაშე გრძნობს. იყო ყოველივე ამაში რაღაც არაბუნებრივი, ბუნების წესის საწინააღმდეგო ; დიახ, არავითარი წესი და რიგი,

მხოლოდ სიგიჟე და ქაოსი. აბა, სხვა რა უნდა უწოდო იმას, რომ შვილი მამაზე ხნიერია !

ალბერმა სხვა საფლავებს გახედა და დარწმუნდა, რომ მიწაში ახალგაზრდები იწვნენ, ჭადრაშერეული კაცების მამები ; კაცებისა, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ცოცხლობენ.

თვითონაც ხომ ასე ფიქრობდა. დარწმუნებული იყო, რომ ცოცხლობდა, რომ თვითვე შექმნა საკუთარი თავი, სწამდა საკუთარი ძალების და შემართების, შეედლო ვაჟკაცურად დახვედროდა თავდატეხილ განსაცდელს და მუდამ სალი გონების კარნახით ემოქმედა.

მაგრამ ამ უცაბედმა თავბრუსხვევამ ქანდაკება, რომელსაც ცხოვრების ქარტეხილს გამოვლილი ადამიანი ესოდენი რუდუნებით აგებს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ქანდაკება, რომელიც თვითვე არის, ერთ წამში მიწას დაამხო და ნანგრევების გროვად აქცია.

ახლა ხელში კაეშანმოსილი გული შერჩა, სიცოცხლეს დახარბებული, სამყაროს მომაკვდინებელი წესის წინააღმდეგ ამბოხებული, რომელიც ორმოცი წელია მკერდში უცემს და რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე შეუსვენებლივ, მოუღლელად საკუთარ კედლებს ეხლებოდა ; იმ კედლებს, სიცოცხლის საიდუმლოს რომ ამორებდა და უფრო შორს წასვლას რომ უშლიდა, რათა ერთხელ მაინც შეეცნო და გაეგო ის საიდუმლო. სანამ არსებობს ერთი წამით მაინც ეგრძნო საკუთარი ყოფიერება, სულ ერთი წამით, მაგრამ სამარადჯამოდ.

ალბერის თვალწინ მთელმა მისმა ცხოვრებამ ჩაიქროლა, გიჟურმა, მამაცურმა, ლაჩრულმა, ჯიუტმა, მუდამ მიმართულმა იმ მიზნისკენ, რომლის არასოდეს არაფერი სცოდნია ; ცხოვრებამ, რომელმაც სინამდვილეში ისე განვლო, რომ ერთხელაც არ მოუკითხავს კაცი, ვინც სიცოცხლე უბოძა, თვითონ კი მყისვე ზღვების გადაღმა, უცხო მიწას მიაშურა, რათა იქ შეხვედროდ სიკვდილს.

ოცდაცხრა წლის განა თვითონაც არ იყო ადვილად მოწყვლადი, გატანჯული, დაძაბული, შემართული, მგრძნობიარე, მეოცნებე, ცინიკოსი და გულმაგარი ?!

დიახ, ყოველივე ეს და კიდევ სხვა... ამჟამად ცოცხალი, კაცად დამდგარი, რომელსაც არასოდეს უფიქრია როგორც ცოცხალზე იმ კაცზე, ახლა აქ რომ განისვენებდა ; ის მისთვის მუდამ მკვდარი იყო, ვიღაც უცნობი, რომელმაც ერთხელ გაიარა ამ მიწაზე და რომლის შესახებ დედას ხშირად უთქვამს, ძალიან გგავდაო და კიდევ, იცოდე და გახსოვდეს, მამაშენი ბრძოლის ველზე დაეცაო.

ახლა კი ეჩვენებოდა, რომ საიდუმლო, რომელსაც ამდენი ხანი ასე ხარბად ეძებდა, წიგნებსა თუ ადამიანებში, სწორედ ამ გარდაცვლილ ახალგაზრდასთან, მასზე უმცროს მამასთან იყო წილნაყარი. იმასთან, რაც ის იყო, რაც გახდა და რომ თვითონ

ამოდ დაიხარჯა იმის ძიებაში, რაც ასე შორს იგულვა, არადა აქვე ხელის ერთ გაწვდენაზე ყოფილა, ჟამით და სისხლით ახლობელი.

სიმართლე თუ გნებავთ, მხარში ამომდგომი არასოდეს არავინ ჰყოლია. ოჯახი, სადაც ცოტას ლაპარაკობდნენ, არც კითხულობდნენ, არც წერდნენ... გასაცოდავებული, მაგრამ თავგზაარეული დედა... ჰოდა, მამაზე ვინ რას ეტყოდა ?

დედის გარდა არავინ იცნობდა, ბოლოს კი მანაც დაივიწყა ქმარი. აი, ასე, ამქვეყნად ყველასათვის უცხომ, უხმაუროდ, განვლო სავალი გზა. უცნობად იცხოვრა, უცნობად მოკვდა. შვილს უნდა მოეძებნა, შვილს უნდა გაეგო თუ რამ იყო გასაგები... ეკითხა მაინც !

მაგრამ იმას, ვისაც არაფერი აბადია და მთელი სამყაროს მოხვეჭას კი ესწრაფვის, ძალა და შემართება არ ჰყოფნის, რომ საკუთარი თავიც შექმნას და ამა სამყაროს საიდუმლოც ამოხსნას.

თუმცა, ჯერაც არ არის გვიან, შეუძლია ეძებოს და გაიგოს ვინ იყო ეს კაცი, რომელიც ახლა ყველაზე ახლობლად ეგულეობდა. შეეძლო...

მზე გადაიწვერა, შუადღე იწავლებოდა. იქვე გვერდით კაბის შრიალი შემოესმა, „შავი ჩრდილიც დალანდა და წამსვე გონს მოეგო. ახლა ისევ საფლავებსა და ზეცას შორის იდგა.

აქ აღარაფერი ესაქმებოდა. წასვლის ჟამმა უწია, მაგრამ ეს სახელი და თარიღები ვერ იქნა და თავიდან ვერ ამოიგდო.

ამ საფლავის ლოდის ქვეშ ახლა მხოლოდ ფერფლი და მტკერია.

მაგრამ მისთვის მამა მკვდრეთით აღდგა, გაცოცხლდა. ცხოვრება უხმაუროდ განვლო და ახლა შვილს ეჩვენებოდა, რომ სადაცაა ისევ მიატოვებდა, უპატრონოდ მიაგდებდა იმ წკვარამში, უკიდევანო სიმარტოვეში, რომელშიც ოდესღაც მოისროლეს და ერთხელ და სამუდამოდ მიატოვეს.

ცარიელ ზეცას მოულოდნელმა, ძლიერმა გრგვინვამ გადაუარა. თვითმფრინავმა ბგერის სისწრაფის ზღვარი გადალახა.

ალბერმა საფლავებს ზურგი აქცია და მამა სიმარტოვის ანაბარა დატოვა.

## გზა

ქარი ჩადგა, თითქოს მზის სიმხურვალემ მიწას განართხო. გემი, რწევა-რწევით წინ მიიწევდა.

ალბერი ძილ-ღვიძილში იყო, ალჟირზე და ღარიბი გარეუბნის პატარა ბინაზე ფიქრი გულს გამოუცნობი კაემნით უვსებდა.

ჩვეულებრივ ასე ხდებოდა, როდესაც პარიზს ტოვებდა და გეზს აფრიკისკენ იღებდა : ჩუმი სიხარული, ათრთოლებული გული, კმაყოფილება ადამიანისა, რომელმაც საპატიმროს თავი დააღწია და ახლა ნირწამხდარ მედილეგებს დასცინის.

გამოიქცა და ახლა თავისუფლებას ისუნთქავს ამ ზღვის ზურგზე წამოწოლილი, ტალღების მიქცევ-მოქცევას აყოლილი, მზის სხივებს მიფიცხებული. როგორც იქნა დაუბრუნდა ბავშვობას, რომელიც საყმაწვილო სენისგან განსხვავებით, არც არასოდეს მოუხდია. არც სინათლის და მწველი სიღარიბის საიდუმლო დავიწყებია, რომელიც აქამდე აცოცხლებდა და ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვისას მწედ ედგა.

ილუმინატორის მინაზე, თითქმის უძრავი ანარეკლი იგივე მზის იყო, რომლის ერთი სხივი იმ ბნელ ოთახშიც აღწევდა, სადაც ბებიას ეძინა. მხართემოზე წამოწოლილი, სიცხით გათანგული ადამიანები და პირუტყვები ისვენებდნენ. ის კი, საწოლში წრიალებდა, კედელსა და ბებიას შორის, ვიწრო სივრცეში ჩაჭედილი. სურდა ემოძრავა, ეცოცხლა, ამიტომ ძილი სიცოცხლისა და გართობისთვის წაგლეჯილ დროდ ეჩვენებოდა.

ამხანაგები კი ელოდებოდნენ. რა წამს ბებია თვალს გაახელდა, ბიჭი სახლიდან გარბოდა. ჯერ კიდევ უკაცრიელ ლიონის ქუჩას დაუყვებოდა, შადრევანთან მიიბრუნდა, სპილენძის მძიმე სახელურს დაეჭიდებოდა და თავს წყლის ჭავლს უშვერდა. უხვად წამოსული წყალი ნესტოებსა და ყურებს უვსებდა, გაღელილი მკერდიდან მუცელზე და შარვლის ქვეშ, ფეხებზე ეღვრებოდა.

სველ სანდლებში, ფეხისგულებით წყლის ღიტინს რომ იგრძნობდა, ადგილს მოწყდებოდა, გულამოვარდნილი წინ წასულ ბიჭებს ეწეოდა და მათთან ერთად ხვატსა და მტვერში მწვანე მდელოსკენ გარბოდა.

ყველაზე ლამაზი დღეები მაინც ის იყო, როდესაც გაზაფხულზე, იშვიათი ხეების ბალისკენ მიმავალ გრძელ გზას დაადგებოდნენ. ზღვისკენ გაჭრილ, ყვავილებით მორგულ მთავარ ხეივანში, საიდანაც აუზებისა და ყვავილების დიდებული ხედი იშლებოდა, დარაჯების ექვის გასაქარვებლად, გულგრილი, ზრდილი დამსვენებლის იერით მისეირნობდნენ. ხეივანს გაივლიდნენ და პლაჟისკენ გაუტევდნენ.

იქამდე « ცაცხვების ბილიკი » უნდა გაევილოთ. ამ გზით ცხვრებს ალჟირის აღმოსავლეთით მდებარე « მეზონ-კარეს » ბაზრობისკენ მიერეკებოდნენ.

გადახრუკულ ადგილს გასცდებოდნენ და საბლეტის პლაჟზე ჩადიოდნენ. ქვიშას მოშავო ფერი დაკრავდა, ზღვაც ამღვრეულ ტალღებს მოაგორებდა.

ყოველ დღე, ერთსა და იმავე დროს, შემწვარი კარტოფილის გამყიდველი, ღუმელს ანთებდა. ხშირად ბიჭებს ერთი შეკვრის ფულიც არ ეგულებოდათ ჯიბეში. თუკი

შემთხვევით რომელიმე მათგანს საკმარისი ფული გაუჩნდებოდა, ერთ შეკვრას ყიდულობდა და მძიმე, გამოზომილი ნაბიჯით პლაჟისკენ გაემართებოდა. დანარჩენები მოკრძალებით უკან მიყვებოდნენ. ბიჭი ნაპირზე გამორიყული გემის ჩრდილში ჯდებოდა და ფეხებს ქვიშაში აცურებდა. ერთი ხელით კარტოფილი პირთან მიჰქონდა, მეორეთი კი ქვემოდან უმარჯვებდა რომ სიფრიფანა, ხრამუნა ნაჭერი მიწაზე არ დავარდნოდა. წესი ითხოვდა ყველასთვის თითო კარტოფილი ეწილადა და ამხანაგებიც ნეტარებით წუწნიდნენ ესოდენ ნანატრ ცხელ ნუგბარს, რომელსაც მძაღვ ზეთის სუნი ასდიოდა.

ნადიმს რომ მორჩებოდნენ, სიამოვნებასაც და იმედგაცრუებასაც მალე ივიწყებდნენ და პლაჟის დასავლეთით გადაინაცვლებდნენ, სადაც მზე უფრო აცხუნებდა.

ორიოდ წამში, დედიშობილები ზღვაში ჰყუმპალაობდნენ, ღრიალებდნენ, წყალს ყლაპავდნენ, იფურთხებოდნენ და ერთმანეთს ყვინთვაში ეჯიბრებოდნენ.

ზღვა წყნარდებოდა. სიმხურვალედაკარგული მზის სხივები სველ თმებში იხლართებოდა. დიდი ნათელი აუწერელი სიხარულით ავსებდა ყმაწვილურ გულებს და მათ ყიჟინას ბოლო აღარ უჩანდა.

ახლა ისინი იყვნენ სიცოცხლისა და ზღვის მეუფენი; ფუფუნება და ნეტარება, რომლის ბოძება სამყაროს ძალუმს, მათი კუთვნილება იყო და ისინიც უზომოდ ტკბებოდნენ, როგორც საკუთარ სიმდიდრესა და სიმღიერეში დარწმუნებული ძველი დროის დიდებულები.

საათს არად დაგიდევდნენ. პლაჟიდან ზღვისკენ გარბოდნენ, მერე მზის გულზე, ქვიშაზე წამოწოლილნი, მარილიანი წყლით გაწებულ სხეულს იმშრალდებდნენ. ბოლოს ისევ წყალს მიაშურებდნენ და კანზე შემორჩენილი ქვიშის მარცვლებს ტალღებს ატანდნენ.

ხვატისგან დაცლილი ზეცა იწმინდებოდა, მწვანე ფერს იღებდა, თვალისმომჭრელი სინათლეც ნელ-ნელა ინავლებოდა, ყურეს მხარეს კი სახლების რკალი, რომელსაც აქამდე ბული ფარავდა, აშკარად იკვეთებოდა. ჯერ კიდევ დღენათელში, აფრიკული მყისიერი ბინდბუნდის მოლოდინში, ქალაქში ლამპიონები ენთო.

სხვებზე ადრე პიერს ახსენდებოდა, რომ წასვლის დრო იყო :

« გვიანაა. »

ჰოდა, იწყებოდა ერთი აურზაური და ზღვასთან ხმაურიანი დამშვიდობება.

საღამო სვლას უმატებდა. ბიჭები სახლისკენ მიდიოდნენ და ზღურბლს ისე გადააბიჯებდნენ, « ნახვამდის » სათქმელად თავსაც არ იბრუნებდნენ.

შინ დაბრუნებული ალბერი ბნელ, აშმორებულ, კიბეზე შეყოვნდებოდა, სიბნელეში კედელს მიეყუდებოდა და გულის საგულეში ჩადგომას ელოდებოდა. მაგრამ დიდხანს ლოდინი არ შეეძლო და ამის შეგნება კიდევ უფრო უჩქარებდა გულისცემას.

სამი გრძელი ნაბიჯით კიბის მოედანზე ადიოდა. დერეფანში საპირფარეოსო ჩაუვლიდა და ბინის კერებს ალებდა.

სასადილო ოთახში სინათლე ენთო და თევშებზე დანა-ჩანგლის წკარუნი ისმოდა. ალბერი ოთახში შედიოდა.

მაგიდის გარშემო, ნავთის ლამფის მრგვალ სინათლეში ნახევრად ყრუ ბიძა წვნიანს ხმაურით წრუპავდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა დედა შვილს ნაზ, სათნო ღიმღის შეაგებებდა :

« ხომ იცი, რომ... »

ბიჭისკენ ზურგით მჯდარი, შავ კაბაში გამოწყობილი წელში გამართული ბებია, რომელსაც ღია ფერის თვალები და კუმტი მზერა ჰქონდა, ქალიშვილს სიტყვის დასრულებას არ აცლიდა :

« სად იყავი ? »

« პიერთან, არითმეტიკას მიხსნიდა. »

ბებია სკამიდან დგებოდა, ბიჭს უახლოვდებოდა, თმებზე დასუნავდა, მერე კი ხელს კოჭებზე ჩამოუსვამდა, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ პლაჟის ქვიშა :

« პლაჟზე ყოფილხარ. »

« ცრუპენტელა » - ასკვნიდა ბიძა.

ბებია კარს უკან ჩამოკიდებულ ხარის ძარღვის მათრახს ჩამოხსნიდა, ბიჭს წვივებსა და დუნდულებზე სამჯერ თუ ოთხჯერ გადაუჭერდა და კანს უმოწყალოდ უჭრებდა.

მოგვიანებით, გულაჩუყებული ბიძა წვნიანის თევშს უდგამდა, ბიჭი კი ცდილობდა როგორმე თვალს მომდგარი ცრემლები შეეკავებინა.

დედა ბებიას გახედავდა, მერე კი სახეს, რომელიც ბიჭს ესოდენ უყვარდა, მისკენ აბრუნებდა ;

« ჭამე, ყველაფერი დამთავრდა, მორჩა... »

... და მაშინ ბიჭი ტირილს იწყებდა.

ალბერმა გაიღვიძა. მზე ილუმინატორზე აღარ ირეკლებოდა. ეტყობა ჰორიზონტისკენ გადაიწია და ახლა მის უკან, ტიხარს ანათებდა.

ალბერმა ჩაიცვა და გემბანზე გავიდა.

ეს ღამეც და ხვალ, განთიადზე, ალჟირში იქნება.

### მამის ძიება

კარის ზღურბლზე მდგარი, ქალს მკერდზე იკრავდა, ჯერ კიდევ სუნთქვაშეკრული, რადგან კიბე სირბილით ამოათავა, ერთი საფეხურიც არ გამოუტოვებია, თითქოსდა სხეულს ყოველივე ზუსტად ახსოვდა.

ხალხმრავალ ქუჩაზე ტაქსიდან გადმოვიდა და წამსვე დაინახა სადალაქოს საგრილობლის თავზე, ორივე ოთახის საერთო აივანზე მომლოდინე დედა : ხშირი, წლებით გათეთრებული თმები და მაინც, მიუხედავად ასაკისა, წელში გამართული. სამოცდაორს გადააბიჯა, მაგრამ ორმოცდაათზე მეტს ვერ მისცემდით. ძველებურად გამხდარი იყო და მხნეობაც შემორჩენოდა. ჩანდა, რომ ვერაფერმა შეარყია მისი შემართება, სათნო, მაგრამ, უდრეკი ხასიათი, რადგან გამუდმებულმა, დამქანცველმა შრომამ პატივი დადო, შეინარჩუნა მასში სწორედ ის ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ასე ეთაყვანებოდა ბავშვობაში.

კარებთან რომ მივიდა, დედა ბინიდან გამოვიდა და ვაჟიშვილს მკლავებში ჩაუვარდა. როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, ორჯერ თუ სამჯერ გადაკოცნა და მთელი ძალით მკერდზე მიიკრა. ალბერი გრძნობდა ქალის ნეკნებს, ბეჭის ამოზნექილ, ცახცახა ძვალს და ღრმად ისუნთქავდა კანის სურნელს, რომელიც კისრის ორ არტერიას შორის იმ ადგილს ახსენებდა, რომლის კოცნას სიყმაწვილეში ველარ ბედავდა, მაგრამ ქალის ყელში ცხვირჩარგული ისუნთქავდა და ეფერებოდა. იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც დედა მუხლებზე ისვამდა, ის კი თავს აჩვენებდა, რომ ჩათვლიდა და ცხვირს კიდევ უფრო ღრმად ჰყოფდა ნაზ ღრმულში, საიდანაც ბავშვის ცხოვრებაში იშვიათობად ქცეული სინაზის განუმეორებელი სურნელი იფრქვეოდა.

დედა კოცნიდა, თავს უკან წევდა, აკვირდებოდა, მკლავებს შემოავლებდა და ისევ კოცნიდა... თითქოს შვილისადმი სიყვარული გულის საზომით გაზომა, შეაფასა და მიხვდა, რომ გრძნობას ბოლომდე ვერ გამოხატავდა :

« ჩემო ბიჭო, შორიდან მოდიხარ. »

ამას იტყოდა, შეტრიალდებოდა, ბინაში შედიოდა და სასადილო ოთახში ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე ჯდებოდა. ქუჩას გადაყურებდა და ეტყობოდა, რომ აღარც შვილზე ფიქრობდა და აღარც რამე სხვაზე. დროდა დრო შვილს უცნაური მზერით გამოხედავდა, თითქოს ზედმეტი ეჩვენებოდა აქ და ახლა, ამ ვიწრო, ცარიელ და დახშულ სამყაროში, სადაც მარტოსული დაეხეტებოდა.



იმ დღეს აფორიაქებული ჩანდა. ხშირ-ხშირად, მალულად, ქუჩას გადახედავდა, ლამაზ თვალებში სხივი ჩაუდგებოდა, ცოტა ხანში სხივი ქრებოდა და ქალი ისევ საკუთარ თავში იკეტებოდა.

ალბერი დედას უყურებდა. ქალს თეთრსაყელოიანი, ნაცრისფერი, ბლუზა ეცვა. ფანჯარასთან იჯდა, ასაკისგან ოდნავ მოხრილი, ხელები კი ცხვირსახოცზე ედო, რომელსაც დრო და დრო გახევებული თითებით ჭმუჭნიდა.

ისეთივე იყო, როგორც ოცდაათი წლის წინ. ნაოჭების მიღმა შვილი სასწაულებრივად ახალგაზრდა სახეს ხედავდა, წარბების გადატკიცინებულ რკალს, სწორ ცხვირს, კოხტად მოხაზულ პირს, მიუხედავად პროთეზის გარდი-გარდმო ტუჩების უნებლიე მოძრაობისა. კისერსაც კი, რომელსაც ყველაზე ადრე ემჩნევა ასაკი, ფორმა თითქმის არ შეუცვლია. ერთი ეს იყო, რომ ნიკაპი ცოტათი ჩამოშვებოდა და ყვრიმალეები დაბერვოდა.

« დალაქთან იყავი ? »

დანაშაულზე წასწრებული გოგოსავით მორცხვად გაიღიმა :

« ჰო, ხომ იცი... გელოდებოდი »

ფარული კეკლუცობა აქამდე შემორჩა. ყოველთვის ღარიბულად ეცვა, მაგრამ ულაზათო კაბაში შვილს არასოდეს უნახავს. ახლაც, ტანსაცმლის შავი და რუხი ფერები გემოვნებით შეურჩევია.

« დალაქი იტალიელია. ოსტატობას ვერ დაუწუნებ. »

ალბერმა დააპირა ეთქვა, ლამაზად გამოიყურებო, მაგრამ თავი შეიკავა.

დედაზე მუდამ ასე ფიქრობდა, მაგრამ თქმას ვერ უბედავდა.

იმის არ ეშინოდა, რომ ქალი უკმეხად გაეპასუხებოდა, ან რომ ქათინაური არ მოეწონებოდა. საქმე ის იყო, რომ უხილავი საზღვარი უნდა გადაელახა, რომლის იქით, რაც თავი ახსოვს, დედა საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა. მუდამ სათნო, თავაზიანი, შემწყნარებელი, თითქოს პასიური და მაინც არავის და არაფრის მორჩილი, საკუთარ სიყრუეში გამოკეტილი. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მომღიმარს ხედავდა და გულით მისკენ მიიწევდა,

ჰო, ასე იყო, მთელი ცხოვრება ქალს შეშინებული და ყოვლის დამყოლე იერი ედო, სწორედ ის, რომლითაც დედამისს შესცქეროდა, როდესაც ბებია მის შვილს მათრახით ზურგს უჭრელებდა. დედას შვილისთვის თითიც არასოდეს დაუკარებია, საყვედურიც კი არ დასცდენია. ბებიას მათრახი მასაც სტკიოდა, გულს უწყლულებდა, მაგრამ საქმეში არ ერეოდა ; შეიძლება დაღლილობის გამო ან იქნებ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა. შეიძლება დედისადმი პატივისცემა ბორკავდა.

ამიტომ ბებიას ნებაზე უშვებდა და ტკივილს შვილებთან ერთად იზიარებდა. ისევე იტანდა, როგორც უცხო ადამიანების ოჯახებში ყოველდღიურ, ძალისგამცლელ შრომას ; იატაკის ხეხვისას, მუხლებზე ფორთხვას, მამკაცის გარეშე, საჭმლის ნარჩენებისა და ჭუჭყიანი თეთრეულის შუაგულში, უიმედო ცხოვრებას. ოფლისა და ჯაფის დღეები ერთმანეთს მიჰყვებოდა. იმედგაცრუებულმა, წყენა და ბრაზი დაივიწყა, უვიცი და ჯიუტი, თავისიანებისა და სხვებისგან თავდატეხილ ყველა ჭირს შეეჩვია.

დედისგან ჩივილი არასოდეს გაუგია. რეცხვას რომ მორჩებოდა, დავიღალე, თირკმელები მტკივაო, ამას თუ იტყოდა. ეს იყო და ეს...

სხვებზე აუგი არ დასცდებოდა. იშვიათად დას ან რომელიმე დეიდას სტუმრობდა ; ცუდად მექცეოდნენ, ამპარტავნულად დამყურებდნენო.

დედის გულიანი სიცილი ერთი-ორჯერ თუ მოუსმენია.

მას შემდეგ, რაც შვილები ფეხზე დააყენა და მუშაობას შეეშვა, ნელ-ნელა ღიმილსაც შეეჩვია.

ალბერმა ოთახს თვალი მოავლო. აქაც არაფერი შეცვლილა. დედას ბინის დატოვება არ სურდა. ჩვეულ გარემოს ვერ უღალატებდა.

ღიახ, ისევ ის ძველი ოთახი... მხოლოდ ავეჯი იყო ახალი, უფრო მოხერხებული და ვარგისი, თუმცა, რაღაც მიუსაფრად შიშველი და კედლებთან ობლად მიყუდებული.

« ისევ რაღაცას ეძებ. »

ასეც იყო. ალბერი კარადის კარს აღებდა, სადაც მხოლოდ აუცილებელი ნივთები ეწყო და სხვა არაფერი. საოცრებაა, მაგრამ ცარიელ თაროებს მოხიბლული შესცქეროდა.

მერე უჯრებს ჩამოუვლიდა : ორი თუ სამი წამლის შუშა, - ოჯახს მცირედით გაჰქონდა თავი, - რამდენიმე ძველი გაზეთი, თოკის ნაგლეჯები, სხვადასხვა ფორმის და ფერის ღილების ყუთი, პირადობის მოწმობიდან ამოგლეჯილი ფოტოსურათი, - სულ ეს იყო.

აქ, ამ ბინაში, ზედმეტობასაც და სიჭარბესაც სიღარიბის ელფერი ედო, მაგრამ ჭარბი და ზედმეტი არასოდეს არაფერი ჰქონდათ.

ის, რამაც მოგვიანებით, ლიცეუმის ამხანაგების თუ გაცილებით მდიდარი ადამიანების ბინებში გააოცა, სხვადასხვაგვარი ლარნაკების, თასების, სამშვენისების, მცირე ზომის ქანდაკებების და სურათების სიუხვე იყო ; ან კი ოთახები როგორ იტანდნენ ამდენს ერთად ?!

სიღარიბე, რომლის წიაღშიც გაიზარდა, სიკვდილივით განძარცული და შიშველი ეჩვენებოდა. მისი სამყარო ზოგადი სახელების სამყარო იყო. საკუთარი სახელები პირველად სხვების სამყაროში აღმოაჩინა.

დღესაც, სულ ახლახან გარეცხილი ქაშანურით გაწყობილ ოთახში, უბრალო, პრიალა ავეჯზე არფერი იდო, გარდა არაბული კალენდრისა, - დედა მის ჩამოსვლამდე დღეებს ითვლიდა ; « ფოსტა-ტელეფონი-ტელეგრაფის » სახელმწიფო დაწესებულების კალენდარი კედელზე ეკიდა. ჩვეულებრივ, ადამიანთა საიდუმლოს ნივთები ამხელენ. აქ კი, ამ ოთახში, თვალს ვერაფერზე შეაჩერებდი. ამიტომ დედაზე მხოლოდ ის იცოდა, რასაც თვითონ ხვდებოდა. სხვათა შორის მამაზეც...

« მამაზე მეკითხები ? »

დედას გამოხედვაში ეტყობოდა, რომ ყურადღება დაძაბა.

« ჰო, მამაზე »...

« ვიცი, რომ ლუსიენი ერქვა. დანარჩენი ? »

« დანარჩენი არც მე ვიცი. »

« სხვა სახელები ხომ არ ჰქონდა ? »

მგონი კი, მაგრამ ვერ ვიხსენებ ; »

ქალმა ყურადღება მოადუნა, მოეშვა და მზით გაჩახჩახებულ ქუჩას გადახედა.

« მე მგავდა ? »

« იფიქრებდი, ორეულიაო. ღია ფერის თვალები და შენი შუბლი ჰქონდა. »

« რომელ წელს დაიბადა ? »

« არ ვიცი. ჩემზე ოთხი წლით უმცროსი იქნებოდა. »

« შენ როდის დაიბადე ? »

« არ ვიცი. საოჯახო წიგნაკში ნახე. »

აღბერი საწოლ ოთახში გავიდა და კარადა გამოაღო. ზედა თაროზე, ხელსახოცების გროვაში ოჯახის წიგნაკი, საპენსიო მოწმობა და ესპანურ ენაზე შედგენილი რამდენიმე ძველი საბუთი იპოვა. მერე ისევ სასადილო ოთახში დაბრუნდა ;

« მამა 1885 წელს დაიბადა. შენ კი 1888-ში. სამი წლით უმცროსი ყოფილხარ. »

« მე ოთხი მახსოვდა. დიდი ხანი გავიდა. »

« ერთხელ მითხარი, რომ მშობლები ადრე დაეხოცა და ძმებმა ობოლთა თავშესაფარში მიაბარეს. »

« დასთან ერთად. »

« მშობლებს ფერმა ჰქონდათ ? »

« ჰო... აღზასელები იყვნენ. »

« უედ-ფაიეტში ? »

« ასეა. ჩვენ კი აქვე ახლოს, შერაგაში. »

« მშობლები რომ დაელუპა, რამდენი წლის იყო ? »

« არ ვიცი, ძალიან ახალგაზრდა. დამ მიატოვა. თექვსმეტი რომ შეუსრულდა, თავშესაფრიდან დის ფერმაში დაბრუნდა. ცუდად ექცეოდნენ, ქანცის გაწყვეტამდე ამუშავებდნენ. დისა და ძმების დანახვაც აღარ უნდოდა. გაბრაზებული იყო. მუშაობით სამ პირ ტყავს აძრობდნენ. »

« შერაგაში მოვიდა ? »

« ჰო, ჩვენ შეგვეხიზნა. »

« იქ გაიცანი ? »

« უწიგნური იყო. თავშესაფარში არაფერი ასწავლეს. »

« ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები ? »

« წერა-კითხვა ბატონმა კლასიომ, ფერმის მოურავმა ასწავლა. »

« რამდენი წლის იყო ? »

« მგონი, ოცის. ზუსტად არ ვიცი. ძველი ამბავია, კარგი მევენახე დადგა. ღვინის დაყენებაც ისწავლა.. როდესაც დავქორწინდით, შეეძლო სადაც მოესურვებოდა, იქ ემუშავა. ჭკუა უჭრიდა. »

ქალმა შეიღს შეხედა.

« შენსავით... »

« მერე რა მოხდა ? »

« მერე ? მუშაობა რიკომთან დაიწყო. ; მან კი მონდოვიში გაამწესა. »

« მონდოვიში ? »

« ჰო, ბონთან ახლოს. მერე ომი დაიწყო და ფრონტზე დაიღუპა. ყუმბარის ნამსხვრევი გამომიგზავნეს. »

პატარა ნამსხვრევი, რომელმაც მამას თავი გაუპო, იმავე კარადაში, ხელსახოცის უკან, ორცხობილას ყუთში ინახებოდა. წერილებიც იქვე ეწყო.

მშრალი, მოკლე წერილები ალბერს დიდი ხნის დაზუთხული ჰქონდა. « ძვირფასო კატრინ, მე კარგად ვარ. ხვალ ადგილს შევიცვლით. ბავშვებს მიხედვ. გკოცნი. შენი ქმარი. »

დიახ, ოჯახი ფერმიდან ფერმაში გადადიოდა და სწორედ იმ ღამით, როდესაც ალბერი დაიბადა, ემიგრანტის შვილი, თვითონაც ემიგრანტი, ევროპა ქვემეხებს ტენიდა, რომლებიც რამდენიმე თვეში ერთბაშად იფეთქებდნენ, კამიუს ოჯახს მონდოვიდან გააძევებდნენ და გრძელ გზას გაუყენებდნენ, მამას ალჟირში განთავსებული პოლკისკენ, დედას კი, მკერდზე მიხუტებული, კოლოებით დაკბენილი ჩვილით, ლატაკ გარეუბანში, ბებიას პატარა ბინისკენ გაუძახებდნენ.

« შვილო, უნდა იმუშაო. »

« ალჟირელ ქვეითებთან გაამწესეს ? »

« ჰო. მაროკოში იბრძოდა »

ალბერს აღარ ახსოვდა. 1905-ში მამას ოცი წელი შეუსრულდა. გადმოცემით იცოდა, რომ მაროკოელებს შეუპოვრად ებრძოდა. სკოლის დირექტორის მონაყოლიც გაახსენდა.

ბატონი ლევეკი მამასთან ერთად გაიწვიეს, თუმცა პოლკში მხოლოდ ერთი თვე დაჰყო. მამას ცუდად იცნობდა. კამიუს სიტყვაძუნწი იყო. საქმეს არ გაუბოლოდა, ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობას არ ერიდებოდა. მხოლოდ ერთხელ გაცხარდა და როგორც იტყვიან, მწყობრიდან გამოვიდა.

დღის სიცხეს ღამის სიგრილე შეენაცვლა. პოლკი გორაკის თავზე დაბინავდა. კამიუს და ლევეკს გუშაგები უნდა შეეცვალათ. მათ პაროლს არავინ გამოეპასუხა... გუშაგი ლეღვის ხის ქვეშ იპოვეს. უცნაურად იწვა, სახით მთვარისკენ. ჯერ ვერ იცნეს, მერე ყველაფერს მიხვდნენ. უბრალოდ ყელი გამოლადრეს და პირში საკუთარი ასო ჩაუდეს.

ფეხებგაფარჩხული იწვა, შარვალი ტოტის სიგრძეზე ჩაეჭრათ, ფეხებს შორის სისხლის დიდი გუბე იდგა. ასიოდე მეტრში მეორე გუშაგიც იპოვეს ; ისიც ასე დაჩეხილ-დალეწილი.

მყისვე განგაში დასცეს.

განთიადისას, როდესაც ბანაკში დაბრუნდნენ, კამიუმ თქვა, მაროკოელები უკაცურად მოიქცნენო. ლევეკმა აუხსნა, მათთვის მხოლოდ ეს არის კაცური საქციელი, საკუთარ მიწას იცავენ და არაფერზე უკან არ იხევენო. კამიუს სახე მოელუშა :

« შეიძლება... მაფრამ ვერ გავამართლებ. კაცმა ეს არ უნდა იკადროს. »

ლევკმა ისევ გაუმეორა, გარკვეულ ვითარებაში ადამიანმა თავს ყველაფრის უფლება უნდა მისცეს, არაფერს არ უნდა შეეპუოს და ნებისმიერი დაბრკოლება უნდა მოამსხვრიოსო.

გაცოფებული კამიუ ღრიალს მოჰყვა :

« კაცს თავის მოთოკვა უნდა შეეძლოს. კაცი მაშინ გქვია, თუ არა და... მე არაფერი გამაჩნია, ობოლთა თავშესაფარში გავიზარდე, ფორმა ჩამაცვეს და ფრონტზე წამომათრიეს, მაგრამ თავს ყველაფრის უფლებას არ ვაძლევ... »

« ყველა ფრანგზე ამას ვერ იტყვი. » - თქვა ლევკმა.

« ჰოდა, თუ ასეა, არც ისინი ყოფილან კაცები. » - შეეპასუხა კამიუ და კარავში შევიდა. სახეზე კაცის ფერი არ ედო.

დიახ, უხეში იყო. მთელი ცხოვრება წელეზე ფეხი იდგამდა, ვიღაცის ბრძანებით კლავდა, მაგრამ ზოგჯერ ასეთი გამონათებაცა ჰქონდა. ჩანდა, რომ საყოველთაო ბოროტებაში გარევა არ სურდა.

მთავარია, ღარიბი იყო : ღარიბებს დიდი არჩევანი არა აქვთ, მაგრამ თავის დაფასება ძალუმთ.

ალბერი ცდილობდა წარმოედგინა იმ ცოტათი, რაც დედისგან სმენია, ეს კაცი ცხრა წლის შემდეგ, უკვე დაოჯახებული, ორი შვილის მამა, მობილიზაციით ალჟირში გამოძახებული ; ღამის გრძელი მგზავრობა, საკუთარ ცოლთან განშორება და მერე, სამი დღის შემდეგ, ზუავეების წითელ-ლურჯ ღამაზე მუნდირში გამოწყობილი მამის უცაბედი გამოცხადება. აგვისტოს თვე იდგა და შალის ტანსაცმლის ქვეშ, მამა ოფლში იჭურებოდა. მერე აქამდე უცნობი საფრანგეთისკენ მიმავალ გემზე ავიდა. ზღვაში არასოდეს გასულა. ცოლ-შვილს გადაეხვია, მაგრად, ნაჩქარევად და სახლიდან გავიდა. აივანზე გადმომდგარმა ცოლმა ხელი დაუქნია. კაცმა ხელი ისე აღმართა, ნაბიჯი არ შეუწელებია, მერე ერთი გამოხედა და დილის ნათელში გაუჩინარდა, რათა არასოდეს დაბრუნებულიყო.

დანარჩენი ალბერს უნდა წარმოედგინა.

დედა, რომელსაც ისტორიის და გეოგრაფიის ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა ვერაფრით დაეხმარებოდა. ქალმა, მხოლოდ ის იცოდა, რომ ამ მიწაზე ცხოვრობდა, ზღვასთან ახლოს, საფრანგეთი კი, სადაც ფეხი არასოდეს დაუდგამს, სადღაც გადაკარგულში, ზღვის გადაღმა მდებარეობდა.

საფრანგეთი მისთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა ბნელით მოცული მხარე. იქ მოსახვედრად ჯერ მარსელის ნავსადგურში უნდა ჩასულიყავი, რომელიც დედას ისეთივე წარმოედგინა, როგორც ალჟირი. საფრანგეთის შუაგულში ვეებერთელა ქალაქი, ბრწყინავდა, სახელად პარიზი. სადღაც იქვე იყო ალზასიც, მხარე საიდანაც

მისი ქმრის მშობლები გამოექცნენ გერმანელებს, რათა ალჟირში დასახლებულიყვნენ. ალზასიდან მტრები უნდა გაემევიბინათ, ბოროტი და სასტიკი ადამიანები, განსაკუთრებით და სრულიად უმიზეზოდ ფრანგების მოძულენი. გერმანელებმა კიდევ ერთხელ შეუნთეს ცეცხლი ფრანგებს და სატანჯველი გაუჩინეს. მიზეზი არც ახლა უძებნიათ, ქალმა საფრანგეთის ისტორიისა არაფერი იცოდა, საერთოდ ისტორიაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა.

სამყაროს და ისტორიის ღამე, - ქალს არც სამყაროს და არც მისი ისტორიის გაეგებოდა, - კიდევ უფრო ჩამუქდა, ახალი, იდუმალი წესი დამყარდა და ქმარს ფერმის დატოვება მოუხდა. სადგურზე ახალწვეულებს კიურე მოძღვრავდა.

« უნდა ილოცო. » - უთხრა ქალს.

« რა თქმა უნდა, ბატონო. – მიუგო ქალმა.

მაგრამ, სინამდვილეში, კიურეს სიტყვები იმ ხმაურში ვერ გაიგონა. სხვა რომ არაფერი, ლოცვა თავში აზრად არასოდეს მოსვლია და არც უცხო ადამიანების შეწუხება სურდა. ლამაზ, ფერადოვან მუნდირში გამოწყობილ ქმარს კი შორეთში უკრეს თავი. მალე დაგიბრუნდებაო, ამშვიდებდნენ.

ყველაფერი საფრანგეთში ხდებოდა. აფრიკული რაზმები აფრიკულ მხარეში, მარნაში გადაისროლეს. ამ დროს ეს სახელი ყველას პირზე ეკერა. ჯარისკაცების ჩაფხუტებით მომარაგება ვერ მოასწრეს, თუმცა აქ ასე არ ცხელოდა, როგორც ალჟირში, სადაც მზე ფერებს ახუნებს და აარაფრებს. ასე, რომ ჰყეტელა ფერებში გამოწყობილი ალჟირელი არაბები და ფრანგები, რომლებიც თავზე ჩალის ქუდებით, ასი მეტრიდანაც ადვილად მისაწვდომ ლურჯ-წითელ სამიზნედ იქცნენ, დასტა-დასტა ამოვარდებოდნენ სანგრებიდან და ასევე დასტა-დასტა ეცემოდნენ ბრძოლი ველზე, რათა საკუთარი სხეულით გაენოყიერებინათ უცხო მიწა სადაც, ვინ იცის, საიდან მოსული, ტალახის ბუნაგებში გამომწყვდეული ადამიანები, ოთხი წლის მანძილზე უკანასკნელი ძალით ებლაუჭებოდნენ სიცოცხლეს მოზუზუნე ჭურვებით დასერილი გულგრილი ზეცის ქვეშ.

მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ახლა აქ აფრიკელი ჯარისკაცები გამუდმებული ცეცხლის ქვეშ ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ცვილის თოჯინებივით იღვენთებოდნენ და ალჟირის ნებისმიერ კუთხეში მამით ობოლ არაბ და ფრანგ გოგობიჭებს ამრავლებდნენ, რომლებსაც, ჰკუის დამრიგებლის და მემკვიდრეობის გარეშე შთენილთ, თვითონ უნდა გაეკვალათ საკუთარი გზა.

« დედა, წერილები ხომ გახსოვს ? »

« კი. »

« მერმა გადმოგვა ? »

« ჰო. »

მამას ჭურვის ნამსხვრევმა თავი გაუპო. ჩალითა და ნახმარი ხილაბანდებით სავსე სანიტარული მატარებელი სენ-ბრიეკის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. იქ ორი წერილი ძლივს დაჯღაბნა, რადგან თვალის ჩინი წაერთვა.

« დამჭრეს, მაგრამ არაფერია. შენი ქმარი. »

რამდენიმე დღის შემდეგ სული განუტევა. სანიტარმა წერილი მოიწერა : « მისთვის ასე სჯობდა. სამუდამოდ დაბრმავდებოდა, ან გაგიჟდებოდა. ვაჟკაცი იყო. »

წერილს ის პატარა ნამსხვრევაც მოაყოლა.

საყოველთაო ხანძარში დანთქმული კაცისგან, ცეცხლმოდებულ ტყეში დამწვარი პეპელას ფრთების ფერფლის მსგავსად, თვალით დაუნახავი, ხელშეუხებელი მოგონებალა დარჩა.

ქვემოთ, ქუჩაში, პარაშუტისტების პატრულმა ჩაიარა. ერთი მათგანი ზანგი იყო, მაღალი, დიდებული მხეცივით მოქნილი ტანი ჰქონდა.

« ყაჩაღებს დასდევენ. მიხარია, საფლავი რომ მოინახულე. მე დავბერდი და სასაფლაოც ძალიან შორსაა. მოვლილია ? »

« საფლავზე მეკითხები ? »

« ჰო. »

« ყვავილები დამხვდა. »

« მოიცა, მგონი კერძი მეწვება. »

ქალი წამოდგა და სამზარეულოში გავიდა. ალბერი დედის სკამზე ჩამოჯდა და კვირა დღის ფორიაქით ახმაურებულ ქუჩას გახედა.

ქუჩაში ხალხი ირეოდა. ახლად გარეცხილ-დაუთოებულ პერანგებში გამოწყობილი მუშები, ღარიბი, მაგრამ სუფთად ჩაცმული არაბები ჩადრაფარებული ცოლებით...

პატრული უკან ბრუნდებოდა. ჯარისკაცები გარეგნულად მშვიდად და გულგრილად გამოიყურებოდნენ. ის იყო დედა ოთახში შემოვიდა, რომ აფეთქების ხმა გაისმა. სულ ახლოს იყო, ძლიერი ქუხილი ჰაერს დიდხანს აზანზარებდა.

დედამ უკან დაიხია. შავ თვალებში შიში ჩაუდგა, თავს ვერ იმორჩილებდა.

« აქვეა, ყურის ძირში. »

« არა », - თქვა ალბერმა და ფანჯარასთან მიირბინა.

ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა, სამალავს ეძებდა.



პატრული თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

სასწრაფო დახმარების მანქანების წივილი არე-მარეს აყრუებდა.

მანქანები ქვაფენილის გასწვრივ ჩამწკრივდნენ.

რამედენიმე წუთში ქუჩაში ადამიანი ჭაჭანება აღარ იყო.

ყუმბარა ტელეგრაფის ბოძთან აფეთქდა. იქვე ახლოს, ხალხი ტრამვაის ელოდებოდა. პატარა კაფედან ყვირილი ისმოდა. ვერ მიხვდებოდი, ტკივილის იყო თუ რისხვის.

« ამ კვირაში მეორეა. ქუჩაში გასვლის მეშინია. »

« არაფერია, გადაივლის. »

ქალი შიშით შესცქეროდა შვილს. ვერ გადენწყვიტა მის გონებას და გამჭრიახობას მინდობოდა თუ საკუთარ რწმენას, რომ ცხოვრება ერთი დიდი უბედურებაა, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება და რომელიც, გასურს თუ არა, უნდა აიტანო.

« დავბერდი, ხომ გესმის. ვერსად გავიქცევი. »

ღრმად ამოიოხრა და ჭირგამოვლილი ადამიანის ღიმილით შეხედა შვილს.

მისი ჯილაგის ადამიანის მსგავსად, ქალი მუქარისა და საფრთხის წიაღში დაიბადა. უბედურებისგან გული ეწურებოდა, მაგრამ ყველაფრის ატანას შეეჩვია.

შვილი ქალის უიმედობით დალდასმულმა სახემ სულით ხორცამდე შეძრა.

« საფრანგეთში წაგიყვან. »

« არა, იქ ძალიან ცივა. ვერ ავიტან, ბებერი ვარ. აქ დავრჩები. »

« ძალიან მიხარია აქ რომ ხარ. საღამოსაც მოდი, ცოტას გავმხიარულდები. ზამთარში ადრე ღამდება... კითხვა მაინც ვიცოდე. ღამფის შუქზე ქსოვაც მიჭირს, თვალები მეღლება. ვწვები და ვახშმის დროს ველოდები. ორი საათი ძალიან გრძელია. ბავშვები აქ რომ იყვნენ, ხმის გამცემი მაინც მეყოლება. მაგრამ ისინი მოდიან და მიდიან. ბებერი ვარ და ეტყობა ცუდი სუნი ამდის. ჰოდა, აი ასე, მარტოხელა... »

ერთი ამოსუნთქვით ამოილაპარაკა. თითქოს აქამდე მდუმარე ფიქრისგან დაიცალა. მერე, სათქმელი რომ აღარ დარჩა, გაჩუმდა, პირი მოკუპმა და თვალებში სხივი ჩაუქრა. ისევ იმ ადგილზე, მორყეულ სკამზე იჯდა.

« მონდოვი ლამაზია ? »

« ჰო, სუფთაა, მაგრამ მას შემდეგ რაც აღარ გინახავს, ბევრი რამ შეიცვალა. »

« ჰო, ასეა, ყველაფერი იცვლება. ექიმმა მოგიკითხა, ხომ გახსოვს ? »

« არა. ესეც ძველი ამბავია. »

« მამას აღარავინ იხსენებს. »

« ერთად დიდი ხანი არც გვიცხოვრია. მერე კიდევ, ჩუმი კაცი იყო, სიტყვას ვერ დააცდენინებდი. »

« მე მეგონა, მამას და შენ აღჭირში ერთად არასოდეს გიცხოვრიათ. »

« ასეცაა. »

« მამა პირეტის დასჯას რომ დაესწრო... »

ალბერმა ხელი კისერზე დაირტყა, რათა დედა უკეთ მიმხვდარიყო.

« ჰო, ბარბერუსში წასასვლელად დილის სამ საათზე ადგა. »

« გამოდის, აღჭირში იყავით »

« ჰო. »

« ეს როდის მოხდა ? »

« აღარ მახსოვს. მაშინ რიკომთან მუშაობდა. »

« ჰო »-ს კი ამბობდა, მაგრამ « არა »-ს გულისხმობდა. ბნელით მოცული მოგონებების გავლით, დროის საზღვარი უნდა გადაელახა. ასე, რომ მისას ვერაფერს ირწმუნებდი.

ღარიბებს მდიდრებზე მწირი მეხსიერება აქვთ: საცხოვრებელს იშვიათად ტოვებენ და სივრცეში ნაკლებად მოძრაობენ. მათი ცხოვრება ერთგვაროვანი და უფერულია, ამიტომ საყრდენები არც დროში აქვთ. რა თქმა უნდა, გულსაც აქვს საკუთარი მეხსიერება. ამბობენ, ყველაზე სარწმუნო, მაგრამ ჭირსა და შრომაში გულიც იხარჯება და დაღლილობის სიმძიმე ბევრ რამეს ავიწყებს. დაკარგული დროის მოპოვება მხოლოდ მდიდრებს ხელეწიფებათ.

ღარიბებისთვის კი დრო სიკვდილის გზაზე მხოლოდ ბუნდოვან ნაკვალევს ტოვებს. მერე კიდევ, ცხოვრების ტვირთი რომ აიტანო, მოგონებებს ნაკლებად უნდა ჩაუღრმავდე, ყოველდღიურობას არ უნდა დაშორდე, საათიდან საათამდე უნდა მიყვე ისე, როგორც დედა იქცეოდა. ვინ იცის იქნებ ავადმყოფობა აიძულებდა. ბებიას თუ დაეჯერება ტიფოზური ცხელება მოიხადა, მაგრამ ცხელება ასეთ შედეგს არ ტოვებს. შეიძლება ტიფი იყო... ან იქნებ სხვა რამ სწეულება ? აქაც ბნელი ღამე... რადგან სენმა სიყრუისა და ენის ბორძიკისთვის გასწირა, ვერაფრის სწავლა ვერ შეძლო, ერთხელ და სამუდამოდ, უტყვი მორჩილების კედლებში ჩაიკეტა, თუმცა ესეც თავისებური, მისთვის ერთგვარი საშუალება იყო გამკლავებოდა საკუთარ ცხოვრებას. მეტი რა უნდა ექნა ? ან მის ადგილზე, სხვა რას მოიმოქმედებდა ?

ალბერს სურდა დედა გამოეწვია, ლაპარაკის გუნებაზე მოეყვანა, რათა რამე მაინც გაეგო იმ კაცზე, რომელიც ორმოცი წლის წინ მოკვდა და რომელთან ერთად, ცხოვრების ხუთი წელი გაიყო (ნუთუ, მართლა გაიყო?). ქალს არაფერი ეთქმოდა, ალბერს მის სიყვარულშიც ეჭვი ეპარებოდა, ყოველ შემთხვევაში, ძალას ვერ დაატანდა, რადგან დედის წინაშე თვითონაც ხეიბრად გრძნობდა თავს, მუნჯდებოდა და გულის სიღრმეში არც სურდა ცოდნოდა, რა იყო მათ შორის. ასე, რომ დედისგან რაიმეს გაგებაზე არც უნდა ეფიქრა.

ბავშვობიდან საზარელ მოგონებად გამოყოლილი ამბავი, რომელიც ახლაც ხშირად უფრთხობს ძილს, ბებიამ უამბო. იმ დღეს მამაჩემი ღამის სამ საათზე გავიდა სახლიდან, რათა ქალაქში ცნობილი ბოროტმოქმედის საჯაროდ დასჯას დასწრებოდა.

პიერეტმა, საჰელის ფერმის მუშამ, ჩაქუჩით ფერმის პატრონები და მათი სამი შვილი მოკლა. ფერმაში დამახინჯებული გვამები, სისხლით ჭერამდე მოსვრილი ოთახები და საწოლის ქვეშ დამალული, ცოცხალი უმცროსი შვილი ნახეს, რომელსაც იმდენი ძალა მაინც შერჩენოდა, რომ გასისხლიანებული თითით კედელზე მიეწერა :

« პიერეტი ».

მკვლელს კვალში ჩაუდგნენ და ჭკუიდან გადამცდარს, სადღაც მინდორში მიაგნეს.

თავზარდაცემული საზოგადოება სიკვდილით დასჯას ითხოვდა და სამართალმაც არ დაახანა. განაჩენი სისრულეში ალჟირში, ბარბერუსის საპატიმროს წინ მოიყვანეს, უამრავი ადამიანის თანდასწრებით.

სამაგალითო დასჯაზე დასასწრებად მამა, რომელიც, ბებიას გადმოცემით, საშინელმა ბოროტმოქმედებამ აღაშფოთა, განთიადამდე ადგა და სახლიდან გავიდა. არავინ იცის, სინამდვილეში რა როგორ მოხდა. განსაკუთრებული არც არაფერი, ყოველივემ მშვიდად ჩაიარა, მაგრამ სახლში დაბრუნებულ მამას გამეხებულ სახეზე მიტკლის ფერი ედო. საწოლზე წამოწვა, რამდენჯერმე წამოდგა, ალებინა და ისევ დაწვა. იმაზე, რაც იმ დღეს ნახა, კრინტი არასოდეს დაუძრავს.

იმ საღამოს, როდესაც ეს ამბავი პირველად მოისმინა, ცალკე ბებიას სიტყვებმა, ცალკე კი წარმოსახულმა სურათებმა, ალბერს სული აუფორიაქა, გულისრევას ცოტადა დააკლდა.

მთელი ცხოვრების მანძილზე, ღამ-ღამობით, სიზმარში, სურათები ცოცხლდებოდა, ერთმანეთს ენაცვლებოდა, სახეს იცვლიდა, მაგრამ შინაარსი უცვლელი რჩებოდა : ვიღაც უცნობები მის წასაყვანად მოდიოდნენ.. ცხადი იყო, სიკვდილით დასჯას უპირებდნენ.

ძილიდან გამოსული კიდეც დიდხანს ებრძოდა შიშს და კაემანს, და ბოლოს, სულმოთქმული, დამშვიდებული, ისევ კეთილისმყოფელ სინამდვილეს უბრუნდებოდა, სადაც სიკვდილით დასჯა აღარ ემუქრებოდა. ასე იყო, სანამ არ

დაკაცდა. მის გარშემო ისტორიამ ისე იცვალა სახე, რომ სიკვდილით დასჯაც ადვილად წარმოსადგენ მოვლენათა რიგში ჩადგა და სიზმრებიდან გამოყოლილ შიშს სინამდვილევ ველარ შეცვლიდა, რადგან ისიც სავსე იყო იმ კაემნით, რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა მამას და რომელიც ერთადერთ აშკარა და სარწმუნო მემკვიდრეობად გადმოეცა.

ეს ის იდუმალი კავშირი იყო, რომელიც მამას სენ-ბრეიკის უცნობთან აერთიანებდა. ეტყობა არც მას სჯეროდა, რომ სიცოცხლეს ძალადობრივი სიკვდილით დაასრულებდა. და ყოველივე ეს დედის გარეშე, რომელმაც იცოდა ეს ამბავი, მამის გულისრევების მოწმეც იყო და რომელმაც დაივიწყა ის დილა მსგავსად იმისა, როგორც ვერ გაიგო, როგორ შეიცვალა დრო. ქალი ისევ ძველ დროში ცხოვრობდა. ელოდა, რომ წუთი-წუთზე ჩასაფრებული უბედურება, გაფრთხილების გარეშე მეხად დაატყდებოდა თავს.

## სკოლა

« მაშ ასე, თქვენ ჩემი საუკეთესო მოსწავლეები ხართ და ამიტომ გადავწყვიტე წარგადგინოთ ლიცეუმებისა და კოლეჯების სტიპენდიებზე. თუკი წარმატებას მიაღწევთ, სტიპენდიასაც მიიღებთ და ბაკალავრობამდე სწავლას ლიცეუმში გააგრძელებთ. დაწყებითი სკოლა ყველა სხვა სკოლისგან გამორჩეულია, საუკეთესოა, მაგრამ საკმარისი არ გახლავთ. ამ ცოდნით ფონს ვერ გახვალთ. ლიცეუმი კი ყველა კარს გაგიხსნით. მე თუ მკითხავთ, თქვენისთანა ღარიბმა ბავშვებმა უნდა შეაღონ ეს კარები. » მასწავლებელი ალბერის მამას არ იცნობდა, თუმცა მასთან საუბრისას ხშირად ახსენებდა. ცოტა არ იყოს მითოსური ენით ლაპარაკობდა და უფრო მეტიც, რაღაც გარკვეულ მომენტში ენაცვლებოდა კიდევ მამას. სწორედ ამიტომ ალბერს არასოდეს დავიწყებია მასწავლებელი, თითქოს არც განუცდია არყოფნა მამისა, რომელსაც არ იცნობდა ; სამაგიეროდ მუდამ ახსოვდა, თუნდაც შეუცნობლად, ჯერ ბავშვობაში, მერე დიდობაში, მთელი ცხოვრების მანძილზე. ერთადერთი მამობრივი შესტი, ერთდროულად გააზრებული, გაცნობიერებული და მნიშვნელობის მატარებელი, რომელიც მისი წარსულის ნაწილი გახდა, რადგან ბატონმა ჟერმენმა, დამამთავრებელი კლასის მასწავლებელმა, საკუთარი ადამიანურობის წყალობით სახე უცვალა მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვის ბედს. ახლა, სწორედ ამ წუთს, ბატონი ჟერმენი აქ იყო, როვიგოს შესახვევის პატარა ბინქში, ძველი ციხე-სიმაგრის ფერხთით ; უბანში, სადაც სახლებს სიღარიბის და სუნელ-სანელებლების სუნი უდიოდა. მასწავლებელი მობერებულყო. ხმა იმთავითვე ომახიანი და მტკიცე შერჩენოდა, როგორც იმ დროს, როდესაც მოსწავლეების წინ მდგომი, ბრამანებას იძლეოდა. : « ორ მწკრივად დაეწყვეთ. ორი-მეთქი, ხუთი არ მითქვამს. » აურზაური წყდებოდა. მოსწავლეები, რომლებსაც მასწავლებელი ერთდროულად შემსაც ჰკვრიდა და აღფრთოვენებასაც, კედელთან რიგში დგებოდნენ. როდესაც ბავშვები თავთავიანთ ადგილებს მიეყინებოდნენ და დუმილი ჩამოწვებოდა, მასწავლებელი აგრძელებდა : « ახლა კი საკლასო ოთახისკენ, ყაჩაღანებო ! » ბავშვები მყისვე

ახმაურდებოდნენ, წამით დაკარგულ თავისუფლებას იბრუნებდნენ, რასაც კოხტად გამოწყობილი, თმაშეთხუპნული, მაგრამ საგულდაგულოდ დავარცხნილი და სუნამონაპკურები ბატონი ჟერმენი ერთდროულად ღმობიერი და მკაცრი სახით ადევენბდა თვალს. მერე გაკვეთილი იწყებოდა. ბატონი ჟერმენის კლასი მუდამ გამოირჩეოდა უბრალოდ იმ მიზეზის გამო, რომ მასწავლებელი მთელი ღირსებით საქმეს იყო გადაგებული. გარეთ მზე ბობოქრობდა და სხივებს მოწითალო კედლებს სტყორცნიდა. საკლასო ოთახიც მზით იყო სავსე. ჰაერს ტკაცუნის გაუდიოდა. შეიძლება ერთბაშად თქეში წამოსულიყო. ალჟირში ასეც ხდება, მაგრამ მოსწავლეთა ყურადღებას ვერას ავნიბდა. ზოგჯერ ამინდი საავდროდ თუ გაემზადებოდა, მარტიდან შემოხეტებული ბუზების გაუთავებელი ბზუილი კლასის სიმშვიდეს არღვევდა და ბავშვებს თავშესაქცევს უჩენდა : საშინელი სიკვდილის მოლოდინში, დაჭერილი მწერები მერხების ნახვრეტებში დამაგრებული, კონუსის ფორმის სამელნეების ვარდისფერ ტალახში წკრიალებდნენ და ნელა იხრჩობოდნენ. მაგრამ ბატონი ჰერმენი, რომელიც ყოფაქცევის დარღვევას არავის აპატიებდა, გაკვეთილებს მუდამ ცოცხლად და ხალისიანად ატარებდა და ბავშვებს ბუზებს მყისვე ავიწყებდა. მასწავლებელს ზუსტად ჰქონდა გამოთვლილი ის წუთი, როდესაც განძით სავსე კარადიდან გამოღებულ მინერალების კოლექციას, ჰერბარიუმს, კოლბებში მოთვსებულ პაპლებს ან მწერებს მოსწავლეების წინ გაამწკრივებდა და მათ მოდუნებულ ყურადღებას გამოაფხიზლებდა. სკოლაში მხოლოდ მასწავლებელს ჰქონდა « ჯადოსნური ფარანი » და თვეში ორჯერ მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო ან ისტორიულ თემებზე გადაღებულ სურათებს უჩვენებდა. არითმეტიკას რაც შეეხება, მის მიერ შემოღებული ზეპირი ანგარიშის კონკურსი მოსწავლეებს სწრაფ აზროვნებას აჩვევდა. დარაჩენი, საფრანგეთის სკოლებში მიღებული სახელმძღვანელოების საქმე იყო, რომლებსაც საქმის ცოდნით და მიზანდასახულად იყენებდა. ბავშვები, რომლებმაც მხოლოდ ხორშაკი ქარი, მტვერი, კოკისპირული, ხანმოკლე თავსხმა, აპლაჟების ქვიშა და მზისთ აელვარებული ზღვა იცოდნენ, გულისყურით, წერტილ-მძიმეების გამოყოფით კითხულობდნენ მათთვის მითოსის შინაარსის მქონე წიგნებს, რომლებშიც შალის ქუდიანი და შალის ყელსახვევიანი ბავშვები, საბოებში გაყრილი ფეხებით ყინვაში, თოვლით დაფარული გზით, მხარზე გადებული ფიჩხის კონით, სახლებისკენ მიაბაკუნებდნენ და ერთი სული ჰქონდათ, სანამ თვალს კიდებდნენ დათოვლილ სახურავს და საკვამურიდან ამოსულ კვამლს, ამკარა დასტურს იმისა, რომ ბუხარში მუხუდოს წვნიანი თუხთუხებდა. ალბერისთვის ეს მოთხრობები უცხო ხილი იყო, ეგზოტიკა, რომელზეც ასე ოცნებობდა. სასკოლო თხზულებებში მისთვის სრულიად უცხო სამყაროს აღწერდა და ბებიას გულს უწვრილებდა, იმ თოვლზე მიაშბე, ალჟირში ამ ოცი წლის წინ, სულ ერთი საათით რომ მოვიდაო. ეს მოთხრობები ალბერისთვის მაღალი სასკოლო პოეზიის ერთ დიდ ნაწილს წარმოადგენდა. ასე და ამრიგად, ბავშვების ერთადერთი სიხარული სკოლა იყო. სკოლის ხიბლი სწორედ ის იყო, რასაც ისინი საკუთარ სახლში ვერ პოულობდნენ, რასაც სილატაკე და უვიცობა სიცოცხლეს უფრო და მეტად გაუსამძლის და უფერულს ხდიდა. ყოველ მხრივ გაღავნით შემოზღუდული

ცხოვრება კარიბჭედანშულ ციხე-სიმაგრეს წააგავდა, რომელსაც ასაწევი ხიდიც კი არ ჰქონდა. სკოლა ბავშვებს არა მახლოდ ოჯახული ცხოვრებიდან გაქცევას სთავაზობდა, არამედ ახლის აღმოჩენის წყურვილსაც უოკებდა, იმ ჯერაც უცნობისა, რომელსაც ბავშვი უფროსზე მეტად ესწრაფვის. ბატონო ჟერმენის კლასში ბავშვს პირველად უჩნდებოდა გრძნობა, რომ მართლაც არსებობს და მის პიროვნებას პატივს სცემენ : ვიღაც ხომ თვლის, რომ ბავშვი ღირსია გახდეს სამყაროს აღმომჩენი ? მასწავლებელი მხოლოდ იმას არ ასწავლიდა, რაშიც ფულს უხდიდნენ. მოსწავლეებს უბრალო ენით საკუთარ ცხოვრებაზე ესაუბრებოდა, მათთან ერთად აცოცხლებდა წარსულს, ყვებოდა ბავშვობაზე და თანატოლების თავგადასავლებზე, საკუთარ თვალთახედვას აცნობდა, მაგრამ იდეებზე ლაპარაკისგან თავს იკავებდა. როგორც ბევრი მისი კოლეგა, ისიც ანტიკლერიკალი იყო, თუმცა კლასში რელიგიის წინააღმდეგ სიტყვა არასოდეს დაუძრავს ; არც იმაზე, რაც ადამიანმა თვით უნდა აირჩიოს, სხვის დაუხმარებლად უნდა ირწმუნოს ; მაგრამ რისხვით ესხმოდა თავს იმას, რაც არავისთვის საკამათო არ უნდა ყოფილიყო : ქურდობას, ლალატს, ყოყლოჩინობას და უპრინციპობას. ყველაზე ხშირად ის-ის იყო დამთავრებულ ომზე ლაპარაკობდა, რომლის მონაწილეც ოთხი წლის განმავლობაში თავად იყო. ჯარისკაცების ტანჯვა-ვაებას, მათ სიმამაცეს, თმენის და ზავისგან გამოწვეული ბედნიერების განცდას იხსენებდა. ყოველი მეოთხედის ბოლოს ჩვევად ჰქონდა ბავშვებისთვის დორჟელესის რომანის « ხის ჯვრებით » მოზრდილი ნაწყვეტები ეკითხა. რომანიც ომის ამბებს ყვებოდა. ალბერისთვის ესეც ეგზოტიკა იყო, მაგრამ ეხლა უკვე შიშითა და უბედურების განცდით გაზავებული, თუმც მოსმენილს, თეორიულადაც კი მამის ბედს არ უკავშირებდა. გულისყურით უსმენდა მასწავლებლის მიერ წაკითხულ ამბავს, რომელიც ისევ და ისევ თოვლს და მისთვის ესოდენ ძვირფას ზამთარს ახსენებდა, უცნაურ ადამიანებს აცნობდა, რომელთაც უხეში ქსოვილის სამხედრო ტანსაცმელს ატარებდნენ, უცნაურ ენაზე ლაპარაკობდნენ და ჰაერში მოსრიალე ყუმბარებისგან თავის დასაცავად, მიწის ქვეშ იმალებოდნენ. იმ დღეს, რომანი ბილოში გასულმა ბატონმა ჟერმენმა მოგუდული, თითქმის ჩაგდებული ხმით გმირის სიკვდილის სცენა წაიკითხა, წიგნი დახურა და წუთით საკუთარ განცდებს და მოგონებებში ჩაიძირა, მერე გასუსულ მერხებზე გახევებულ ბავშვებს თვალი მოავლო და პირველ რიგში მჯდარ ალბერს დააკვირდა, რომელიც მასწავლებელს დაჟინებულ მზერას არ აშორებდა, ცრემლებად იღვრებოდა და აქვითინებული, მთელი სხეულით ცახცახებდა. « გეყოფა, პატარავ, კმარა. » – ძლივს გასაგონად წარმოთქვა ბატონმა ჟერმენმა, ფეხზე წამოდგა, ბავშვებს ზურგი აქცია და წიგნი კარადაში დააბრუნა. « მოიცა, პატარავ ! » სკამიდან მძიმედ წამოიწია, უჯრაში ხელი მოაფათურა და დახურა. მერე მეორე გააღო და რაღაც ამოიღო. « აიღე, შენი იყოს ! » ყავისფერ ყდაზე არც სახელწოდება ეწერა და არც ავტორის გვარი, მაგრამ ალბერი წამსვე მიხვდა, რომ სწორედ ის წიგნი იყო, რომელსაც მასწავლებელი კლასს უკითხავდა. « არა, არა, ეს... » - სურდა ეთქვა, ძვირფასი საჩუქარიო, მაგრამ სიტყვები გაექცა. « ხომ გახსოვს, ბოლო დღეს რომ იტირე ? ჰოდა, იქიდან მოყოლებული, წიგნი შენია. » ეს კაცი, რომელიც ორმოცი წლის ასაკშიც, « ჩემო პატარაო », ასე მიმართავდა,

ალბერს ძალიან უყვარდა. მაშინაც კი, როდესაც წლებმა, მერე კი მეორე მსოფლიო ომმა, ერთმანეთს დააშორა. და მართლაც ბავშვივით გაიხარა, როდესაც 1945 წელს ჯარისკაცის ფარაჯიანმა კაცმა, პარიზში მისი ბინის კარებზე დარეკა. ბატონი ჟერმენი იყო. « არა, ფრონტზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ჰიტლერს მეც ვებრძოდი ; შენსავით, ჩემო პტარავ ! ვიცოდი. ჯიში მოგდგამს, იმედი მაქვს, არც დედა დაგვიწყებია. ამ ქვეყნად მასზე უკეთესი ქალი არ მეგულება. ახლა ალჟირში ვბრუნდები. მინახულიე ! » მთელი ამ ხნის განმავლობაში ალბერი ყოველ წელს სტუმრობდა მასწავლებელს. დღესაც ასე იყო, ბინის კარებთან აღელვებულ მოხუცს ალბერის ხელი ეჭირა. ის კი, წასასვლელად გამზადებული, მასწავლებელს მხრეზე ეხვეოდა. სწორედ მასწავლებელმა გადაისროლა ცხოვრების ორომტრიალში, პასუხისმგებლობა იკისრა საკუთარი ფესვებისთვის მოეშორებინა და ახალი ჰორიზონტებისკენ უბიძგა. « აბა, რას იტყვი ? » « ბებია მითხრა, ღარიბი ვართ და მომავალს წელს მუშაობას უნდა შევუდგე. » « დედა რას ამბობს ? მომისმინე. უნდა გაუგო. ძალიან უჭირთ. შენ და შენი ძმა ფეხზე დაგაყენეს. რა თქმა უნდა, დედაშენს ძალაუნებურად ეშინია. იქნებ რამე მოვახერხოთ, ავუხსნათ. ჩანთა აიღე და წამომყევი. » « სახლში მივდივართ ? » « დიახ, სიამოვნებით მოვინახულებ დედაშენს. » სახლისკენ მიმავალი მასწავლებლის დანახვაზე ბებია მარცხნილობა შეიცვალა. « როგორც ვხედავ, ბებია ახლაც მოუცლელია. » ბებია სტუმარს საწოლ ოთახში შეუძღვა. იქიდან სასადილო ოთახში გაიყვანა, სკამი შესთავაზა და მაგიდაზე მომცრო ჭიქები და ანწლის არაყი დადო. « ნუ წუხდებით. თქვენთვის ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი.. შენ კი ქუჩაში დამელოდე... უნდა შევაქო და ვშიშობ თავში არ აუვარდეს... » ერთი საათი მიიღია. მასწავლებელი ისევ სასადილო ოთახში იჯდა. ირგვლივ ქალები ეხვივნენ : ბებია, დედა, მეზობლები... ალბერი მასწავლებლის გვერდით იდგა. დიდი სხეულის სითბოს გრძნობდა და ოდეკოლონის სურნელს უკანასკნელად ისუნთქავდა. ბებია და მეზობელი ქალების წონ ყელყელაობდა : « მადლობთ, ბატონო ჟერმენ, დიდი მადლობა. » ბატონი ჟერმენი კი ამასობაში ბავშვს თავზე ეფერებოდა. « შენ მე აღარ გჭირდები. ჩემზე ჭკვიანი მასწავლებლები გეყოლება. თუ რამეში დაგჭირდი, ადვილად მიპოვნი. » მასწავლებელი წავიდა. ქალებთან მარტოდ დარჩენილმა ალბერმა ფანჯარასთან მიიღბინა და მასწავლებელს გამომშვიდობების ნაცვლად ხელი დაუქნია. სიხარულის ნაცვლად ბიჭს გულში ვეებერთელა, ბავშვური სევდა ჩაედვარა. თითქოს წინასწარ იაზრა, რომ ეს წარმატება ღატაკთა გულთბილ, უბიწო სამყაროს ჩამოაშორებდა, საზოგადოების კუნძულს, საკუთარ თავში ჩაკეტილს, სადაც ოჯახს და თანადგომას სიდუხჭირე ენაცვლება, საბოლოოდ გამოგლეჯდა ნაცნობ გარემოს და უცნობ სამყაროში გადაისროდა, რომელთანაც არაფერი აკავშირებდა. ვერც იმას იწამებდა, რომ იქაური მასწავლებლები უფრო განსწავლული იქნებოდნენ ვიდრე ის, ვინც, მისი რწმენით, გულის სიბრძნეს ფლობდა. ახლა მეგზურის გარეშე უნდა გაეკვალა გზა. უნდა ესწავლა და გაეგო ; კაცი უნდა გამხდარიყო. გვერდში მწიედ კი აღარ ეყოლებოდა ადამიანი, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდა. მარტოსულს, სწევლა-აღზრდა, ვინ იცის, რა ჭირთათმენად დაუჯდებოდა... საკუთარი თავისთვის უცნობი დიახ, ასეთი იყო ამ ბავშვის ცხოვრება ღარიბთა კუნძულზე, უპოვართა

უბანში. უვიც, ხეიბარ, ოჯახში გამომწყვდეულს, მკაცრი აუცილებლობა სულს უბორკავდა. სიცოცხლე სწადდა. ცოდნას დანატრებული გონება სწავლასა და სულ მეტის გაგებას ითხოვდა. ტალღებად მოდენილ სიხარულს უცნობი სამყარო უცაბედად მოვლენილი ყოფნისა და ჭმუნვის წუთებს უნაცვლებდა. ბავშვი იბნეოდა, მაგრამ მყისვე გონს მოეგებოდა. ცდილობდა შეეცნო, შეეთვისებინა მისთვის სრულიად უცხო სამყარო და ახერხებდა კიდევ, რადგან ფეხის აუთრეველად, ჯიქურ მიიწევდა მის წიაღში კეთილგანწყობილი, არა მორჩილი და სულმდაბალი და საბოლოო ჯამში სულ უფრო მეტ სიცხადეს ან თუ ჭეშმარიტებას ეზიარებოდა, სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ყოველივეს მიაღწევდა და რომ ამ სამყაროში მისთვის შეუძლებელი არაფერი იყო ; საქმე ეკისრა, თუმცა საქმე არასოდეს უძებნია, მხოლოდ სიხარულს, თავისუფალი ადამიანების გვერდით ყოფნას და ძალას ნატრობდა ; ყველა იმ სიკეთეს, რაც ცხოვრებას გააჩნია, რაღაც სასწაულებრივს, რისი ყიდვა არც აწმყოში შეიძლება და არც მომავალში. სიღარიბემ ასწავლა ღირსეულად მიეღო კუთვნილი გასამრჯელო, მაგრამ თვითონ არასოდეს ეთხოვა, ქედი არ მოეხარა, ფულის მონად არ ქცეულიყო. სწორედ ასეთი იყო ახლა, ორმოცი წლის ასაკში, მცირედის ბატონ-პატრონი და მაინც დარწმუნებული, რომ არაფრით აღემატებოდა ნებისმიერ გაუბედურებულ უპოვარს და არას წარმოადგენდა საკუთარი დედის გვერდით. დიახ, ასე იცხოვრა : ზღვის ტალღებში, ქარში, ქუჩაში, ზაფხულის ხვატში და ხანმოკლე ზამთრის მძიმე წვიმებში ; გზას იკვლევდა ადამიანებსა და საგნებს შორის, იხვეჭდა ცოდნას, რომელიც სულ უფრო კარგად უღებდა კარებს ; ცდილობდა შეექმნა საკუთარი ცხოვრების წესი და საკუთარი ტრადიცია. მაგრამ ნუთუნ სულ ეს იყო ? შესტები, სიმამაცე, გზნება, ოჯახი, ნავთის ლამფა და შავი კიბე, დაბადება და ზღვის ტალღებში ნათლობა ? დიახ, ყოველივე ასე იყო, მაგრამ გარდა ამისა არსებობდა პიროვნების ბნელი ნაწილი, რომელიც წლების მანძილზე ყრუდ ბორგავდა და თავს შეახსენებდა. მის არსებაში დავანებული ბრმა ძალა, სათავე ყველაზე ძლიერი და საშინელი სურვილებისა ეხმაურებოდა ირგვლივ განფენილ უკიდუგანო სამყაროს ; რომლის სიმძიმე ვრცელი ზღვის პირისპირ შეიცნო, ზურგს უკან კი მთების, ზეგნების და უდაბნოს თვალუწვდენელი სივრცეები და ამ სივრცეთა შორის მარადიული მუქარა, რომელის შესახებ არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ რომლის არსებობას აშკარად გრძნობდა. ... ქვეყანა, სადაც გადაგდებულად გრძნობდა თავს, თითქოსდა პირველმოსახლე იყო ან პირველი დამპყრობელი, რომელმაც ფეხი დაადგა ნაპირს, სადაც ჯერ კიდევ კანონი და ძალა მეფობდა ; სამართალი კი საასტიკად სჯიდა ზნე-ჩვევათა ღალატს. მის გარშემო კი ეს ადამიანები, ერთდროულად მიმზიდველნი და და შემამფოთებელნი, ახოებელნი და შორეულნი, რომლებსაც ყოველდღე ხვდები, ზოგჯერ უმეგობრდები ან ეამხანაგები ; სადამო ჟამს კი ყველანი შენთვის შეუვალ კედლებში იკეტებიან, შენთვის სრულიად უცნობ ტალღებთან შეიყუჩებიან ; შემთხვევით ქუჩაში თუ გადაეყრები ვერც კი გაარჩევ რომელი რომელია. ჩადრაფარებულთ, მხოლოდ ლამაზი თვალეები მოუჩანთ და თუმც კი ხვდები, რომ ყოველივეს შეგუებულნი და დაღლილები არიან, მათი სიმრავლე გაშინებს და ხშირად, სადამოობით, მათგან მომდინარე უჩინარ ხიფათს გრძნობ. მერე



კიდევ, ეს დამე თვით მასში, ეს ბნელი ფესვები, რომლებიც ბრწყინვალე და შიშისმომგვრელ მიწასთან აკავშირებდა, რომლის ისტორია სურვილებითა და ძლიერი, ენითაუწერელი შეგრძნებით შეიქმნა : სურნელებანი სკოლებისა, საჯინბოებისა, დედის მკლავებზე გადაფენილი სარეცხისა, იასამნისა და ჯიქასი, ლექსიკონისა და ერთი ამოსუნთქვით წაკითხული წიგნებისა. სუნი საპირფარეშოებისა, დიდ, ცივი საკლასო ოთახებისა და რჩეული მეგობრების სიტბო. სურნელი ტუჩის საცხისა, რომელიც პიერმა დედას მოპარა და რომელსაც ჯგუფ-ჯგუფად ვენოსავდით აღელვებული, აფორიაქებული, მსგავსნი ძაღლების ხროვისა, რომელიც ამძუებული ძუკნის კვალს მიუყვება ოთახიდან ოთახში და წარმოვიდგენდით, რომ ქალიც ბერგამოტის ნაზი სურნელი იყო, რომელიც ღრიალა, ოფლისა და მტვრის უხეშ ცისქვეშეთში ბიჭებს თვალწინ გადაუშლიდა დახვეწილ, სათუთ, დაუძლეველი ხიბლით სავსე სამყაროს, რომელსაც იმ წუთს მათ მიერ ნასროლი უხამსობებიც ვერას ვნებდა. და კიდევ, ბავშვობიდან გამოყოლილი სიყვარული სხეულისა, მისი სილამაზისა, რომლის სიშიშვლე პლაჟზე ბედნიერებას გვრიდა. მისი სიტბო, რომელიც მუდმივ იზიდავდა გაუცნობიერებლად, ცხოველურად, არა დასაუფლებლად, რომლის არაფერი ესმოდა, უბრალოდ მისი გამონათების რკალში შესაღწევად, თავმინებებით და ნდობით, მეგობრის მხრისთვის მხრის მიღება და ლამის გულყრა, როდესაც ტრამვაიში ქალის მკლავი უნებლიე მოძრაობით შეგებება და ცოტა ხნით, სულ ცოტა ხნით დაყოვნდება. სურვილი, დიახ, წადილი სიცოცხლისა და კიდევ სიცოცხლისა, დედამიწის სიმხურვალესთან შერწყმისა, რასაც დედისგან ელოდებოდა, მაგრამ ვერასოდეს იღებდა ან იქნებ, ვერ ბედავდა მიეღო და რომელსაც ყველაზე ძლიერ, ყველაზე ცხოველურ სურნელებებში ეძებდა რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად, სიცოცხლის საშინელ სიმხურვალეს ინარჩუნებდნენ ; თითქოს მხოლოდ მისთვის, მინც ამ სიმხურვალეს ესოდენ აფასებდა და მის გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინა. ან ის ქალი, რომელიც უყვარდა, დიახ, უყვარდა და მერე როგორ ! მთელი სულით და სხეულით ქალის სურვილი წვავდა. არაფერი ეგულებოდა ამ წადილზე მაღალი და როდესაც უკიდურეს ზღვართან მისული, უტყვი ამოძახილით ქალის სხეულს გამოერიდებოდა, სამყარო თითქოს თავიდან იხვეჭდა წამით დაკარგულ საკუთარ წესს. უყვარდა ქალის სილამაზე, მისი გიჟური ვნება სიცოცხლისა, უხვი, უკიდურეს წერტილთან მისული, რომელიც ქალს ავიწყებდა დროის წარმავლობას, თუმცა იცოდა, რომ დრო არასოდეს ჩერდებოდა. არ სურდა ვინმეს ოდესმე თქვა ქალზე, « უწინდებურად ახალგაზრდააო, ». ახალგაზრდა იყო და ახალგაზრდა დარჩება. ერთხელ, როდესაც სიცილით უთხრა ახალგაზრდობა გადის, წლები გვემატებაო, ქალს ქვითინი აუტყდა : « არა, არა, - გულამომჯდარი მოთქვამდა, - რომ იცოდე, როგორ მიყვარს სიყვარული ! » უმეტეს შემთხვევაში ბევრ სხვაზე გამჭრიახი გონებით ამაღლებული, უარს ამბობდა, მიეღო სამყარო ისეთი, როგორიც ის იყო, შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ სხვებზე გამჭრიახი და გონიერი იყო. გულანთებული, სისხლადუღებული, იმ არარსებულ მხარეში გაქცევა ეწადა, სადაც არც სიბერეა, არც სიკვდილი და სუფევს მხოლოდ მარადული სილამაზე და ველური ცხოვრება. უკანა გზაზე ქალს, რომელიც ესოდენ უყვარდა, თავი მის

მკლავებზე ედო და უხმოდ ტიროდა... თვითონაც, მხოლოდ იმიტომ, რომ დაიბადა წინაპრებისა და მოგონებებისგან დაცლილ მხარეში, სადაც ყველა მასზე ადრე შობილი უკვალოდ გადაშენდა და ცივილიზებული ქვეყნებისგან განსხვავებით, სიბერეს მელანქოლია ვერას შველის, დიახ, თვითონაც, მსგავსი დაულალავად მბორგავი ტალღისა, რომელიც წამ-წამზე ერთხელ და სამუდამოდ დაიმსხვრევა, დღეს ძალუმად გრძნობდა, რომ ხელიდან უსხლტებოდა სიცოცხლე, ახალგაზრდობა, ადამიანები ; ის, რომ ვერავის ვერაფრით შველოდა, შთენილი მხოლოდ ბრმა იმედის ამარა ; რომ ეს ბნელი ძალა, რომელიც წლების მანძილზე დღეების მაღლა ეზიდებოდა, უზომოდ ასაზრდოებდა, ყველაფერთან ერთად, ულევო კეთილმოსურნეობით, რომლითაც აქამდე სიცოცხლის გაგრძელების მიზეზებს წარმოაჩენდა, სიბერის და ამბოხის გარეშე სიკვდილის შესაძლებლობასაც უბოძებდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა  
საიტმა: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)